# საჰბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 9 აგვისტო 2002 №148 (1670) | ფასი 50 თეთრი




## ჯამარაული დონეცკში დაბინავდა

ცოტა არ იყოს, მოულოდნელი ამბავი: წუხელ დონეცკის „მეტალურგთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა გოჩა ჯამარაულმა.

ბოლო ხანს უგუნდო ჯამარაული დონეცკს ორი დღის წინ „მეტალურგის" მწვრთნელის სემიონ ალტმანის მიწვევით გაემგზავრა, ერთი წაივარჯიშა, შეთავაზებულ პირობებს დათანხმდა და სამწლიანი კონტრაქტიც გამოცხვა. ახლა „მეტალურგი" და ჯამარაული სფფ-დან სატრანსფერო სერთიფიკატს ელიან.

ჯამარაულის ახალი გუნდი უკრაინის ჩემპიონატში ამჟამად მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფს. ბოლო ტურში „მეტალურგი" შინ 1:3 დამარცხდა ლიდერ „დნეპროსთან". გუნდს გამოცდილი სემიონ ალტმანი წვრთნის, ვისი ხელმძღვანელობითაც კიშინიოვის „ზიმბრუმ" თავის დროზე ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე იოჰან ბოსკამპის თბილისის „დინამო" დაამარცხა. უკრაინის ერთ-ერთ გრანდს დონეცკის „შახტარსა" და „მეტალურგს" ერთი, მეტად შეძლებული ფირმა პატრონობს. „შახტარის" პრეზიდენტი რინატ ახმეტოვი და „მეტალურგის" სომეხი თავკაცი სწორედ ამ ფირმის დამფუძნებლები არიან და შეიძლება ითქვას, კიევის „დინამოს" ერთად ექიშპებიან.

„ძალიან კმაყოფილები ვართ — ჯამარაული მაღალი კლასის ფეხბურთელია, გვჯერა, რომ ქართველი ნახევარმცველი ჩვენს გუნდს საგრძნობლად გააძლიერებს. ჯამარაულით უკრაინის ჩემპიონატის პრიზიორობისთვის ბრძოლაც შევძლია. სწორედ ასეთი ფეხბურთელი გვჭირდებოდა და მასთან კონტრაქტი დაუფიქრებლად გავაფორმეთ" — გვითხრა „მეტალურგის" ვიცე-პრეზიდენტმა ვარდან ისრაელიანმა.

იხილეთ მეორე გვერდი

## რამდენი?!
### მინუს 70 რა ამბავია?!

გუშინწინ ჩეხეთის ქალაქ შტრაკონიცეში კადეტ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის პირველივე მატჩში საქართველოს ნაკრები მაგრად შერცხვა – სლოვენიელთა 103 ქულას ქართველებმა კინკილა 33-ით უპასუხეს.

# ბლატერი: ქურდი თუ მოსამართლე?
## ჟორდანია-ჩოლარიასთვის სასამართლოში ჩივილი ცოდვაა, პეტრიაშვილისა და ჩხაიძისთვის — გამოსავალი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია დღეს ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს უნდა შეხვდეს.

ჟორდანია და ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ბლატერის მიწვევით შვეიცარიას სამშაბათს გაემგზავრნენ და მას აქეთ ფიფას ეროვნულ ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის წევრებთან ერთად ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატის დავით პეტრიაშვილის სასამართლოში შეტანილი სარჩელის მართებულობაზე მსჯელობენ. ჯერჯერობით უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ფიფა, მით უმეტეს, რომ დავით პეტრიაშვილის ბანაკმაც გაგზავნა წერილი ფიფაში და ზედ დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს 23 ივლისის გადაწყვეტილებაც დაურთო.

გუშინ ჟენევაში სფფ-ს გენერალურ მდივანს, ვალერი ჩოლარიას დავუკავშირდით...

— ხვალ ან ორშაბათს ბლატერ-ჟორდანიას შეხვედრაზე ყველაფერი გაირკვევა. ეროვნულ ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტში ახლაც მიმდინარეობს ფედერაციისა და პეტრიაშვილის წერილების ერთდროული განხილვა და კომიტეტი თავის გადაწყვეტილებას ბლატერს მოახსენებს. ფედერაცია უკან არ იხევს, მიგვაჩნია, რომ პეტრიაშვილს საქმე სასამართლომდე არ უნდა მიეტანა. ჩვენს პოზიციას ბოლომდე დავიცავთ, თუმც მერაბ ჟორდანიამ უკვე აღნიშნა, ფიფას ქართული ფეხბურთის მძაფრ სურათს არ დავუხატავთ და ვიმედოვნებთ, ფიფა ოპონენტებისთვის რაიმე კომპრომისულ გადაწყვეტილებას მიიღებსო. მთავარი, რა თქმა უნდა, ფიფას ოჯახში ჩვენი ადგილის შენარჩუნებაა.

ვიდრე ჟენევაში პეტრიაშვილ-ჟორდანიას საქმეს არჩევენ, ფიფას უსამართლობაში დარწმუნებული პრეზიდენტობის მესამე კანდიდატი ვაჟა ჩხაიძეც სასამართლოს კარს მიადგა. „მრეტების" დამფუძნებელ-პარტნიორ-პრეზიდენტმა ფედერაციას არჩევნების გაყალბებაში დასდო ბრალი და პეტრიაშვილის მსგავსად სამართლიანობის აღსადგენად სამოქალაქო სასამართლოს მიმართა.

ჩხაიძის მოთხოვნათა ერთ-ერთ პუნქტში არჩევნების საოქტომბროდ გადადებაზეა ლაპარაკი.

ქობა ინასარიძე



ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერს ქართველებმა თავი აატკივეს







# უკრაინულმა პირობებმა ჯამარაულს დინამო გადააფიქრებინა

დასაწყისი პირველ გვერდზე

**თავად** გოჩა ჯამარაულს კი გუშინვე ვარჯიშისა და კონტრაქტის გაფორმების მერე სასტუმროში დავუკავშირდით:

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან სატრანსფერო სერთიფიკატს დღესაც ველოდით, მაგრამ არ მოგვილია, ალბათ, ხვალ გამოგზავნიან და „მეტალურგში" თამაშის უფლებაც მექნება.

**— დონეცკში როგორ აღმოჩნდი? ძალიან მოულოდნელი იყო სათამაშოდ „მეტალურგი" რომ ირჩიე.**

— ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. თბილისში ვიყავი და დონეცკელთა მწვრთნელი სემიონ ალტმანი დამიკავშირდა. დიდ ხანს არ გვისაუბრია, თავიდანვე მისაღები პირობები შემომთავაზა. მეორე დღესვე გამოვემგზავრე დონეცკში და სამედიცინო შემოწმების შემდეგ სამწლიანი კონტრაქტიც გავაფორმე.

**— „მეტალურგს" არ სჯობდა თბილისის „დინამოში" დაბრუნებულიყავი?**

— იქნებ სჯობდა კიდეც, მაგრამ „დინამოს" შემოთავაზებულმა პირობებმა არ დამაკმაყოფილა.

**— პირობები, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ გუნდის დონეც ხომ გასათვალისწინებელია?**

— გეთანხმებით, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემთვის უმთავრესი სწორედ პირობები იყო. უკვე 31 წლის ვარ, თანაც ამდენი ხნის უთამაშებელი. ევროპაში, ალბათ, იცით, სატრანსფერო საქმეები გართულდა, დიდი ფინანსური კრიზისია, თანაც საჩემო გუნდი ვიპოვე.

**— „მეტალურგში" კონტრაქტის ბოლომდე დარჩები?**

— ასე გამოდის.

**— შენს სათამაშო დონეზე როგორ იმოქმედებს უკრაინის ჩემპიონატი?**

— რა ვიცი, ვნახოთ, „მეტალურგის" ერთ მატჩს ვუცქირე „დნიპროს" წინააღმდეგ. შინ 1:3 წააგეს. არ მომეწონა „მეტალურგი". მწვრთნელ ალტმანს ვუთხარი კიდეც. მიპასუხა, ეს ჩვენი ყველაზე ცუდი თამაში იყო, ისე, ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავს, შენნაირი გამთამაშებელი გვჭირდებოდაო.

**კობა ინასარიძე**



სემიონ ალტმანი თბილისში „ზიმბრუს" ჩამოუძღვა

საქართველოს 14 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი
2 ტური
ანონსი

თბილისი. ეროვნული. 9 აგვისტო. 20 საათი
**დინამო — კოლხეთი**
მსაჯები: გ. მაღალაშვილი, ლ. სილაგაძე, ს. შალამბერიძე
ა. შილაკაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

თბილისი. ლოკომოტივი. 10 აგვისტო. 19 საათი
**ლოკომოტივი — მეტალურგი**

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 10 აგვისტო. 18 საათი
**სიონი — დილა**

რუსთავი. ფოლადი. 10 აგვისტო. 18 საათი
**გორდა — ბათუმი**

თბილისი. შევარდენი. 11 აგვისტო. 18 საათი
**ვიტ ჯორჯია — მილანი**

ქუთაისი. ტორპედო. 11 აგვისტო. 18 საათი
**ტორპედო — მერანი**

# ამათ რა ჰქონდათ გასაყოფი?

## მართვადი ქაოსი არჩევნებმა დაარღვია

*დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს თორმეტწლიან ისტორიაში ბევრი მძიმე დღე და გაჭირვება გამოუვლია, მაგრამ აქამდე ჩემპიონატი ასე სამარცხვინოდ არასდროს დაწყებულა. ქართული ფეხბურთის შეთხელებული და არაერთგზის იმედგაცრუებული ქომაგი 3 აგვისტოს შეურაცხყოფილი დარჩა. ფედერაციისა და კლუბების დაპირისპირებაში ყველაზე მეტად სწორედ გულშემატკივარი იჭყლიტება.*

*ჯერაც დაუმთავრებელი სკანდალი სამომავლოდ უეჭველად ცუდ შედეგებს მოუტანს ჩვენს ჩემპიონატს და ზოგადად ქართულ ფეხბურთს. აქვს კი აზრი მტყუან-მართალის ძებნას? ფაქტია, შეცდომები ორივე მხარემ დაუშვა, მაგრამ ამ ფონზე უფრო არასახარბიელო ვითარებაში ოჯახის თავი, ფედერაცია აღმოჩნდა. სფფ წლობით დაგროვილი პატარ-პატარა ფეხის გადაბრუნების შედეგებს დღეს იმკის და ვინძლო ეს პროცესი შემდეგაც გაგრძელდეს. უთუოდ მისასალმებელია, რომ ფედერაცია დღეს პრინციპულობაზე დებს თავს და დებულების უპირობო დაცვას სთხოვს გუნდებს, მაგრამ სკანდალის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ფედერაცია აქამდე არასდროს ყოფილა პრინციპული. ამბოხებული კლუბების უმთავრესი კოზირიც ეს გახლავთ.*





ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ ნუგზარ მდივანს, მარიამ ფირცხალაიშვილს და ანზორ მამალაძეს სამონაწილეოს ნახევარი არ გამოართვა

### ბაზრად ქცეული ჩემპიონატი

ერთი დიდი დახლი ალალი იქნებოდა ამ სიტუაციაში. ჩვენს ჩემპიონატში ღია ვაჭრობაა გამოცხადებული. პირველ ტურში ტექნიკურ მარცხჩათვლილი და ჩემპიონატიდან მოკვეთის საშიშროების წინაშე მდგარი გუნდები ნელ-ნელა მაზანდას უწევენ. თავიდან, თუ კონკრეტული მატჩის შესაბამისი თანხის გადახდას ითხოვდნენ ყრილობამდე, შემდეგ 4-4 ათასი ლარიც გამოაჩინეს, მერე თერთმეტი ათასი და ბოლო წამს, ალბათ, საწევროს სრულადაც მოუყრიან თავს. ფედერაციას სრული უფლება აქვს კლუბებს დებულების შესრულება მოსთხოვოს და ასეთ დროს ალტერნატივა არ უნდა არსებობდეს — სავალდებულო პირობა ყველამ უნდა შეასრულოს. „მეტალურგმა", „მერანმა", „მილანმა" და „გორდამ" დიდი ხანია იციან, რომ 22 ათასი აქვთ გადასახდელი, მაგრამ თავი მაინც სავალალო დღეში ჩაიგდეს. ისიც ცუდია, როცა კლუბი ჯიბრში უდგას თუნდაც შემცდარ ოჯახის თავს.

### მეტალურგი

ის, რომ ზესტაფონში სტადიონზე მისულმა ქომაგმა ფეხბურთის ნაცვლად მოედანზე ნერვიულად მოსიარულე და პერმანენტულად სატელეფონო ხაზზე მყოფი „მეტალურგის" პრეზიდენტი იხილა, მხოლოდ და მხოლოდ თავად მისივე დამსახურებაა. მდივანი მართალია, როცა საარჩევნო ზეწოლაზე საუბრობს და ზესტაფონური ფეხბურთისადმი თავის წვლილს აღნიშნავს, მაგრამ არამც და არამც არ არის მართალი, როცა ძველი შეღავათების გამეორებას ითხოვს ფედერაციისგან. სფფ ყოველთვის ხუჭავდა ბევრ რამეზე თვალს, „პოსლეზე" მოთამაშე გუნდებიც მრავლად ჰყავდა ჩემპიონატში და დებულებისთვისაც არაერთხელ უქცევია ზურგი, მაგრამ რა არის დასაძრახი იმაში, თუ ფედერაციამ უკეთესობისკენ იბრუნა პირი და დაკანონებული წესის შესრულებას ითხოვს, ნუგზარ მდივანის პოზიცია გასაგებია, მას იმის შანსი გაუჩნდა, რომ 22 ათასი ლარის ეკონომია გააკეთოს — მისი ფავორიტი დავით პეტრიაშვილია, რომელიც პრეზიდენტობის შემთხვევაში კლუბებს საწევრო თანხის გაუქმებას დაპირდა. მდივანმაც გარისკა და პროვოკაციაზე წავიდა. ოთხი ათასი ლარით დაიწყო ვაჭრობა, ეფექტისთვის გაფიცვა-აქციებით დაიქადნა, მერე ზესტაფონური მატჩის არჩაშლის შანსმოცემულმა ქომაგი გაწბილებული დატოვა, ორიოდე დღის წინ კი 11 ათასი ლარით მივიდა ფედერაციაში, მაგრამ უარით გაისტუმრეს — კეთილი ინებეთ და სამონაწილეო 22 ათასი მოიტანეთ. „ლოკომოტივთან" მატჩამდეო. „მეტალურგის" თავკაცმა ოთხეულიდან ყველაზე გამომწვევად დაიწყო ამბოხი — პირველი გადამხდელი ვარ, მაგრამ ყრილობამდე პრინციპულად არ გადავიხდი თანხას სრულადო, თქვა 2 აგვისტოს მდივანმა.

### მერანი

ავჭალელთა პოზიცია ზესტაფონელებისას ემთხვევა. ანზორ მამალაძე არ არის ის კაცი, 22 ათასი ლარი სალაპარაკოდ გაუხადოს ფედერაციას, მაგრამ მისი პოზიციაც საარჩევნო ციებ-ცხელებითაა განპირობებული. აკი თქვა კიდეც მამალაძემ, თუ პეტრიაშვილი გაიმარჯვებს, ზედმეტი თანხა რად გადავყაროო. „მერანი" 3 აგვისტოს ბოლო წუთამდე გულხელდაკრეფილი უცდიდა 18 საათის შესრულებას და მაქსიმუმი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ „გორდაც" თან გაიყოლა. არადა, რუსთაველთა „საწევრო იალიშის" ამბავი რომ არ გაცხადებულიყო, „გორდა" პირველი ტურის მერე სამი ქულით ხელდამშვენებული იქნებოდა. მამალაძე გუშინ ფედერაციაში სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტ რომან შოთაძეს შეხვდა, მაგრამ მტკიცე ჯებირს შეეჯახა. შოთაძემ მასაც იგივე უთხრა, რაც „მეტალურგის" თავკაცს — „მერანმაც" 22 ათასი უნდა გადაიხადოს „ტორპედოსთან" საკვირაო მატჩამდე.

### გორდა

რუსთაველები ქალაქის ხელმძღვანელთა ფეხბურთისადმი გულგრილობით დაზარალდნენ. ერთი თვის წინ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იყო „გორდა" და სასწაულებრივ მოახერხა არსებობის გაგრძელება. გუნდის პატრონობა კვლავაც შპს კსკ „გორდა 2000"-მა იტვირთა, მაგრამ მის დირექტორს, სერგო ბუილიშვილს ჩინოვნიკურმა გამოუცდელობამ ლამის გაუცამტვერა პროექტი. ბუილიშვილის, მისი ბიზნეს-პარტნიორების და ქალაქის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე რუსთავის მერიამ, რომლის ბალანსზეცაა „გორდა", გარკვეული ვალდებულებები აიღო გუნდის წინაშე, რომლის ერთ-ერთი პუნქტიც საწევრო თანხის გადახდა იყო. ბუილიშვილმაც პრობლემა მოგვარებულად ჩათვალა და სამი ქულის უბრძოლველად მოპოვების მოლოდინში რუსთაველები ხელებსაც იფშვნეტდნენ, რომ სფფ-დან სავალალო ინფორმაცია მიიღეს, ფული არ გადაგიხდიათო. „გორდას", მეტოქის მსგავსად წაგება ჩაეთვალა, ბუილიშვილმა კი ისევ მერის კაბინეტს მიაპყრო იმედიანი მზერა, თუმცა ვერას გამორჩა. ამ ეტაპზე მერია ვერაფრით დაგვეხმარება, ფული ჩვენ უნდა ვიშოვოთო, თქვა გაწბილებულმა ბუილიშვილმა. გუშინ კი „გორდას" საკრედიტო ოპერაცია წარმატებით დასრულდა და „ბათუმთან" მატჩამდე, ალბათ, მოასწრებენ რუსთაველები ფედერაციაში 22 ათასი ლარის შეტანას.

### მილანი

თუ კი ვინმეს პრობლემა გულთან ახლოს უნდა მიეტანა სფფ-ს, ეს უპირველესად დებიუტანტი „მილანია". ქიზიყელები მართლაც წვალებით, სხვის დაუხმარებლად მოვიდნენ დღემდე და, ალბათ, საწევროსაც უპრობლემოდ გადაიხდიდნენ, მეწყერს მათი სავარგულები რომ არ გაენადგურებინა. მაგრამ გულუბრყვილობაა იმის თქმა, რომ სფფ რომელიმე გუნდს გამოარჩევდა და შეღავათს მისცემდა ამ სიტუაციაში. „მილანს" ფული არ ჰქონდა და უყოყმანოდ შეუერთდა ბუნტს, მით უფრო, რომ პეტრიაშვილის მომხრეა. უმაღლესის ინტრიგებში გამოუცდელ კახელებს ალალად სჯეროდათ, რომ ფედერაცია არ გაწირავდა თავის შვილობილს, ამიტომაც მშვიდად დაადგნენ ფოთის გზას და ყოველი შემთხვევისთვის 4 ათასი ლარიც გააყოლეს ხელს, მაგრამ...

კლუბის პრეზიდენტს მარიამ ფირცხალაიშვილს გუშინ სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტ რომან შოთაძესთან მკაცრმა, ხმამაღალმა საუბარმაც არ მოუტანა შეღავათი. „მილანს" ჯერჯერობით 11 ათასი ლარი აქვს და ერთი დღე დარჩა ერთი ამდენის საშოვნელად.

### უპრინციპო პრინციპული

თავში სფფ-ის წლობით დაგროვილი ფეხის გადაბრუნებები ვახსენეთ. საგაზეთო გვერდი ვერ დაიტევს იმ მაგალითებს, სფფ-ის კლუბებისადმი ლოიალურ დამოკიდებულებებზე რომ მეტყველებს და მხოლოდ დათვურ სამსახურს სწევდა. ფედერაციისგან ყოველთვის ჰქონიათ შეღავათები ქართულ კლუბებს, ზოგს ვალი დღემდეც მოჰყვება და, ასეთ ვითარებაში სფფ ერთი ხელის მოსმით ვერანაირად მიიკრავდა პრინციპულობის იარლიყს, მით უფრო, ამ პრინციპულობის სავალ გზაზე შეცდომებიც გამოურია. ფედერაციას დღეს დებულება აქვს აფარებული და უეჭველად ამით ჩაახშობს კიდეც ამბოხს, მაგრამ საკითხავი ის არის, წერია თუ არა დებულებაში ის, რომ გუნდმა ნატურით უნდა გადაიხადოს საწევრო თანხა, როგორც ეს „სიონმა" გააკეთა. დებულებაში არც იმაზეა ნათქვამი, რომ აგვისტოში მისაღები ფული სფფ-მ ზოგ გუნდს იანვარში უნდა მოატანინოს, როგორც გააკეთებენ ევროსარბიელზე ნაღვაწი „ტორპედო" და „ვიტ ჯორჯია". სფფ-ის პრინციპულობას საეჭვოდ ხდის ის ფაქტიც, რომ ფედერაცია პირველი ტურის მატჩების წინ უფულოთ 11 ათასი ლარის გადახდაზეც დაყაბულდა. ამ ფაქტს დღეს კატეგორიულად უარყოფს სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე, მაგრამ ზესტაფონში და ფოთში განვითარებული მოვლენები საპირისპიროს მეტყველებს. აკი თავადაც განაცხადა ორშაბათის პრესკონფერენციაზე მერაბ ჟორდანიამ, შესაძლოა, 11 ათასი ოთხეულს მოგვიანებით გადაახდევინოთო. ეს სულაც არაა პრინციპულობის ნიმუში. თუ ითხოვ, დალოცვილო, მოთხოვე ბოლომდე, თუკი შეღავათის გაწევის საშუალება გაქვს, მაშინ ბოლომდე დაეხმარე.

დღეს ფედერაცია ისევ პრინციპულია, 22 ათასს ითხოვს და ძნელია ამ დროს საყრილობო ციებ-ცხელება არ გაგახსენდეს. სფფ-ის ამგვარი პოზიცია სწორედ კარს მომდგარი საპრეზიდენტო არჩევნებითაა განპირობებული, თორემ რა ჰქონდა ფედერაციას კლუბებთან გასაყოფი. განა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, ზარ-ზეიმით რომ უმასპინძლეს ქიზიყელებმა მერაბ ჟორდანიას. პრეზიდენტმაც ხომ დიდი პატივი მიაგო უმაღლესი ლიგის ახალ ბინადარს, საჩუქრებიც არ დაიშურა მილანელთათვის, მარიამ ფირცხალაიშვილი და ავთანდილ მანგოშვილი სულაც შვეიცარიაში გასამგზავრებელ სანაკრებო დელეგაციაში შეიყვანა. რა უნდა ჰქონოდათ ამათ გასაყოფი... არჩევნები, იმ მაისის ქიზიყური საღამოს სტუმარ-მასპინძელი დღეს სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდა...

**ბააჩა ქვანტალიანი**

**ფინეთი**
XXVIII ტური
პაკა 2:1 იარო

**შვედეთი**
XIV ტური
ჰალმსტადი 0:1 ელფსბორგი
გიოტეგორგი 0:0 სუნდსვალი
ლანდსკრონა 3:1 იორგრო
აიკ 0:3 იურგორდენი

**საფრანგეთი**
I დივიზიონი
II ტური
ოსერი 2:0 მონაკო

**ნორვეგია**
თასის მერვედფინალი
მოსი 2:2 (პენ3:5, 2:2) ვოლერინგა
ბრანი 1:1 (პენ5:6, 1:1) ოლისუნდი
სტრომსგოდსეტი 2:1 ჰოდი

# ჩივაძემ საქართველოს ნაწილი მოიფიქრა

## ქეცბაიას თურქეთში მუხლი არ უშვებს

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ გუშინ ის რვა ლეგიონერი დაასახელა, რომლებიც 21 აგვისტოს, თურქებთან ამხანაგური მატჩისთვის უკვე გამოძახებული ჰყავს: გელა შეყილაძე („ლიერსი", ბელგია), ლევან ცქიტიშვილი, ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი (სამივე „ფრაიბურგი", გერმანია), გოგა გახოკიძე (პსვ, ჰოლანდია), გიორგი ნემსაძე („დანდი", შოტლანდია), გიორგი ქინქლაძე („დერბი", ინგლისი), შოთა არველაძე („რეინჯერსი", შოტლანდია). ამ ფეხბურთელებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან მიწვევა გუშინვე მიიღეს და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ტრაბზონში უნდა ითამაშონ. ალექსანდრე ჩივაძეს კვიპროსის „ანორთოსისის" ნახევარმცველის თემურ ქეცბაიას გამოძახებაც სურდა, მაგრამ გაირკვა, რომ ის ორიოდ დღის წინ დაშავებულა და მუხლის მკურნალობას დაახლოებით ორ კვირას მოანდომებს.

რაც შეეხება დანარჩენებს, ეროვნული გუნდის მწვრთნელი მათ ვინაობას მომავალ კვირას გამოაცხადებს. ჩივაძე საქართველოს და რუსეთის ჩემპიონატების უახლოეს მატჩებს დაელოდება და სასურველ ფეხბურთელებსაც ამის შემდეგ აარჩევს. სავარაუდოდ, ზემოჩამოთვლილთ უგუნდოდ მყოფი მიხეილ ყაველაშვილი და რატი ალექსიძე ვერ დაემატებიან, გოჩა ჯამარაული კი დღესდღეობით დონეცკის „მეტალურგში" ვარჯიშობს და სათამაშო ფორმის 21 აგვისტომდე აღდგენა თუ მოასწრო, მწვრთნელი მას განზე არ დატოვებს.

გუშინვე გადაწყდა, რომ მატჩი ტრაბზონში ცხრის ნახევარზე დაიწყება, ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრა რიზეში კი 20 აგვისტოს ექვს საათზე. ეროვნული გუნდი თბილისიდან ტრაბზონს თამაშის წინა დღეს ჩარტერული რეისით ესტუმრება, ლეგიონერთა უმეტესობა გუნდს თურქეთშივე დახვდება.

**კობა ინასარიძე**



ალექსანდრე ჩივაძე

# ვასტიჩი წავიდა, პრობლემა დარჩა

## მუჯირი ებრაელთა შტურმისთვის ემზადება

*ვერა და ვერ მოიკიდა „შტურმის" ძირითად შემადგენლობაში ფეხი ქართველმა დავით მუჯირმა. არადა, ივიცა ვასტიჩის გუნდიდან წასვლას თითქოს მისთვის გზა უნდა გაეხსნა. ავსტრიის ჩემპიონატში უკვე ხუთი ტური მიილია და „მუმუ" მხოლოდ ორჯერ, ისიც შეცვლაზე გამოჩნდა მოედანზე. ბოლო ტურში, სტუმრად „ადმირასთან" მატჩში კი სათადარიგოთა შორისაც ვერ ამოვიკითხეთ. ჩვენც გუშინ დავით მუჯირს ავსტრიაში დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ.*

**— „შტურმის" ძირითად შემადგენლობაში ისევ არ ჩანხარ. ბოლო ტურში კი საერთოდ მატჩის განაცხადშიც არ იყავი...**

— „ადმირასთან" ავადმყოფობის გამო ვერ ვითამაშე. მაღალი ტემპერატურა მქონდა და გრაცში დავრჩი. დანარჩენი ყველაფერი ძველებურადაა. ახალ სეზონში ორჯერ შეცვლაზე კი ვითამაშე, მაგრამ, ცხადია, ეს საკმარისი არ არის.

**— ჯანმრთელობას კიდევ უჩივი?**

— არა, უკვე გამოვკეთდი. გუნდთან ერთად ვივარჯიშე კიდეც.

**— გრაცში ჩემპიონთა ლიგის მატჩში შენი ყოფილი გუნდი „შერიფი" სტუმრობდა...**

— „გრაცერი" — „შერიფის" მატჩს დავესწარი. მოლდოველები ცუდად არ გამოიყურებოდნენ, თუმც მეტოქე უფრო მაღალი დონის ჰყავდათ.

**— ივიცა ვასტიჩის გუნდიდან წასვლის მერე ძირითადში დამკვიდრებას აპირებდი...**

— ვასტიჩი კი წავიდა, მაგრამ კონკურენტები ისედაც ბევრი დარჩა. თავდასხმაში საკმოდ ძლიერი ფეხბურთელები არიან. ასე რომ, მარტო ვასტიჩის ყოფნა არაფერს ნიშნავდა.

**— გუნდიც კარგად თამაშობს. ალბათ, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ამის ფონზეც გაგიჭირდება.**

— დიახ, ამის გაუთვალისწინებლობაც არ შეიძლება. მხოლოდ პირველი ტურის მატჩი ჩავაგდეთ, როცა „რაპიდთან" 0:4 დავმარცხდით. მერე კი ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოვიგეთ და სატურნირო ცხრილსაც ერთპიროვნულად ვლიდერობთ. ყურების ჩამოყრას არ ვაპირებ. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. მით უმეტეს, სეზონის წინ მწვრთნელს და მენეჯერს ველაპარაკე. მწვრთნელს ვთხოვე, თუ არ მათამაშებდა, სხვა გუნდში გაევ-



ნათხოვრებინე, მაგრამ მტკიცე უარი მივიღე. მეუბნებიან, გვჭირდებიო და მეც იმედიანად ვარ.

**— ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსიც გაქვთ...**

— რა თქმა უნდა, ვეცდებით, ეს შანსი ხელიდან არ გავუშვათ. ჩემპიონთა ლიგაში თამაშის პერსპექტივა ძალიან მხიბლავს.

**— როგორ ფიქრობ, შეძლებთ ჰაიფას „მაკაბის" ბარიერის დაძლევას?**

— „შტურმი" რომ ფავორიტია, ალბათ, უდავოა. კენჭისყრის შედეგებით უკმაყოფილო არც კლუბის ხელმძღვანელობაა. მით უმეტეს, „მაკაბის" პირველად ნეიტრალურ მოედანზე, სოფიაში ვეთამაშებით, მერე კი შინ მივიღებთ. ვნახოთ, თავს არ დავზოგავთ და იმედია, ჩემპიონთა ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე ვითამაშებთ.

**ბაჩა შალამბერიძე**



# ორი რუსი, ესტონელი და რუსული ფეხბურთი

## ნოდია ასათიანის მილიონზე უფლებამოსილი არ არის

*დღეს თბილისის „დინამო" სეზონის პირველ მატჩს ითამაშებს ფოთის „კოლხეთთან", მომდევნო შეხვედრა კი უკვე უეფას თასის საკვალიფიკაციო რაუნდში მოუწევს — 15 აგვისტოს დინამოელები ტალინის ტვმკ-ს ესტუმრებიან. „დინამომ" საევროტურნირო თადარიგი იმითაც დაიჭირა, რომ ივო შუშაკის კონსულტანტი და დირექტორატის წევრი გივი ნოდია ტალინში მიავლინა, რათა მას მეტოქე საქმეში ენახა. გივი ნოდია გუშინ დაბრუნდა თბილისში და შევეხმიანეთ კიდეც.*

— ტვმკ თანაქალაქელ „ფლორას" ხვდებოდა და 2:3 დამარცხდა. ჩვენმა მეტოქემ ნორმალური გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, „ფლორა" კი, მოგეხსენებათ, ესტონეთის საუკეთესო კლუბი და ჩემპიონატის ლიდერია. პირველ ტაიმში ჩვენს მომავალ მეტოქეს სოლიდური უპირატესობა ჰქონდა და შესვენებამდე 2:1 იგებდა. მერე უპირატესობას „ფლორა" დაეუფლა და ორი გოლიც გაიტანა.

**— ტვმკ ნორმალური გუნდიაო, თქვით, კიდევ რას დაამატებდით „დინამოს" მეტოქეზე?**

— გუნდი ძირითადად ადგილობრივი რუსებითაა დაკომპლექტებული, მხოლოდ ორი ესტონელი ჰყავთ და ორივე ეროვნული ნაკრების წევრია.

**— მაინც რა სტილის ფეხბურთს თამაშობს ტვმკ?**

— ფაქტობრივად, რუსეთის ჩემპიონატის გუნდებს ჩამოჰგავს, მოძრავი გუნდია და ცდილობს, სწრაფად ითამაშოს, შუა ხაზში ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავს.

**— ტვმკ-დან რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევდით?**

— სამ მათგანს გამოვყოფდი — ცენტრალური ნახევარმცველი ლივო ლეეტმა, ცენტრფორვარდი ანდრეი კროლოვი და მარჯვენა შემტევი მაქსიმ სმირნოვი.

**— „დინამოს" შანსებზე რას იტყოდით, დაძლევთ ესტონურ ბარიერს?**

— როგორ გითხრათ, ამ ცოტა ხნის წინ არ იყო, ესტონეთის ეროვნულმა ნაკრებმა რუსეთისას რომ მოუგო? ჰოდა, წინასწარ ცოტა რთულია, რაიმეს თქმა. თუმც, ვფიქრობ, თუ „დინამო" თავის მაქსიმუმს გამოამჟღავნებს, ესტონურ ბარიერს გადალახავს.

**— ტალინში ყოფნისას ალბათ სასტუმროც შეარჩიეთ „დინამოსთვის".**

— მე და გუნდის ადმინისტრატორმა გია იმნაძემ ორი სასტუმრო შევარჩიეთ, ერთი ქალაქის ცენტრში, მეორე გარეუბანში. მათგან ერთ-ერთს ივო შუშაკი აირჩევს. მოვაგვარეთ ვიზების საკითხიც.

**— თქვენ კლუბის დირექტორატის წევრიც ბრძანდებით და ქუთაისის „ტორპედოდან" მალხაზ ასათიანის „დინამოში" მოსალოდნელ ტრანსფერზეც გკითხავთ. როგორც შევიტყვეთ, ასათიანმა თქვენ დაგირეკათ და ტრანსფერის დაჩქარებაზე გელაპარაკათ...**

— ასათიანს პირადად ჩემთვის არ დაურეკავს. ისე კი, „დინამოს" და ასათიანის სურვილები ერთმანეთს რომ ემთხვევა, დასამალი არ არის.

**— მართალია, რომ „ტორპედო" ცოტა ხნის წინ მილიონ დოლარზე მეტს ითხოვდა ასათიანში, ახლა კი ოდნავ ნაკლებზეც ყაბულსაა?**

— მაგდენი არ ვიცი და უფლებამოსილი არ გახლავართ, ასეთ საკითხებზე ვილაპარაკო.

**დავით თავართქილაძე**



ალექსანდრ შტელინმა „ტორპედო" სოსო ფრუიძეს დაუტოვა

# შტელინმა ტორპედო დატოვა

## ვიდრე უკრაინელი გაბელგიელდება, ქუთაისელებს ფრუიძე გაწვრთნის

**ჩემპიონთა ლიგის** მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩეხურ „სპარტასთან" ორჯერ დანამარცხებ „ტორპედოს" ევროსეზონი დაუმთავრდა. ქუთაისელებს ახლა სხვა არაფერი დარჩენიათ, ისევ ეროვნულ ჩემპიონატს უნდა მიხედონ.

ზეგ, ჩემპიონატის მეორე ტურში, ტორპეოდელებს „მერანთან" უწევთ დაპირისპირება, თუმც ჯერაც უცნობია, ეწვევიან თუ არა ავჭალელები მეტოქეს. მოგეხსენებათ, მათ სამონაწილეო თანხა არ გადაუხდიათ ფედერაციისთვის და ჩემპიონატიდან მოკვეთა ემუქრებათ. „ტორპედო" — „მერანი" ჩატარდება თუ არა, დღეს-ხვალ გაირკვევა. იმას კი დანამდვილებით გეტყვით, რომ თუ მატჩი შედგა, ქუთაისელებს მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ შტელინი ვერაფრით დაეხმარება.

საქმე ის გახლავთ, რომ „ტორპედოს" თავკაცი გუშინ ბელგიაში გაემგზავრა ამ ქვეყნის მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად. შტელინი ერთი კვირით დაშორდა „ტორპედოს". გუნდი კი ერთ-ერთ თანაშემწეს, სოსო ფრუიძეს გადააბარა. ასე რომ, „ტორპედოს" დროებით ფრუიძე უხელმძღვანელებს, რისი გამოცდილებაც მას ნამდვილად არ აკლია. „პოლონოვიჩი" ხომ თავის დროზე (დაახლოებით ორი სეზონი) დამოუკიდებლად წვრთნიდა ტორპედოელებს.

**იუზა ქავთარაძე ქუთაისიდან**

## ჩემპიონთა ლიგა

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

**ბაზელი** (შვეიცარია) 3:0 ჟილინა (სლოვაკეთი) (1:1)
1:0 ხიმენესი (12), 2:0 იაკინი (23), 3:0 ხიმენესი (60)

**ლევსკი** (ბულგარეთი) 2:0 სკონტო (ლატვია) (0:0)
1:0 ჩილიკოვი (12), 2:0 სიმონოვიჩი (31)
სკონტო: პავლოვსი, ისაკოვსი, ზემლინსკისი, ბლაგონადეჟდინსი, ბუიტკუსი (ჟორჟოლიძე 78), ვერპაკოვსკისი (იელისეევსი 71), კოლესნიჩენკო, მიხოლაპი (ქაჩავარიოვსი 65), სამუსევსი, დედურა, მოროზსი
მწვრთნელი: ალექსანდრ სტარკოვსი
გაფრთხილება: ივანოვი, დედურა, კოლესნიჩენკო, ბლაგონადეჟდინსი, ბუიტკუსი
მსაჯი: მიკო ვუორელა (ფინეთი)

პიუნიკი (სომხეთი) 2:2 **დინამო** (უკრაინა) (0:4)
0:1 შაცკიხი (8), 0:2 მელაშჩენკო (28), 1:2 ართავაზ კარამიანი (30), 2:2 არმენ კარამიანი (60)

ბელშინა (ბელარუსი) 0:1 **ჰ. მაკაბი** (ისრაელი) (0:4)
0:1 პრალია (7 პენ.)

**ჟელეზნიჩარი** (ბოსნია) 1:0 ლილესტრიომი (ნორვეგია) (1:0)
1:0 ბიშჩევიჩი (90)

**პარტიზანი** (იუგოსლავია) 4:0 ჰამარბი (შვედეთი) (1:1)
1:0 ივიჩი (49), 2:0 ლაზოვიჩი (54), 3:0 ილიევი (64), 4:0 ილიჩი (75)

**გრაცერი** (ავსტრია) 2:0 შერიფი (მოლდოვა) (4:1)
1:0 პოტჩერი (58), 2:0 ბაზინა (89 პენ.)
შერიფი: ჩირილოვი, ოდია, თარხნიშვილი, ტესტიმიციანი, ივანოვი, პრიგანიუკი, კომლიონოკი, კუზნეცოვი, ტუდორი (ბარბუროსი 66), პატულა, ნესტერუკი (ბლანკო 84)
მწვრთნელი: ბელე ბალინტი
გაფრთხილება: პრიგანიუკი, დმიტროვიჩი, პალმისი, კუზნეცოვი, ოდია
მსაჯი: ედო ტრივკოვიჩი (ხორვატია)

დინამო (რუმინეთი) 0:1 **ბრიუგე** (ბელგია) (1:3)
0:1 ლანგე (18)

**ლეგია** (პოლონეთი) 1:1 ვარდარი (მაკედონია) (3:1)
1:0 კუჩარსკი (33), 1:1 ოლივეირა (51)

დინამო (ალბანეთი) 0:4 **ბრონდბიუ** (დანია) (0:1)
0:1 მადსენი (47), 0:2, 0:3 ბაგერი (50, 87), 0:4 სკარბალიუსი (90)

**აპოელი** (კვიპროსი) 4:2 მარიბორი (სლოვენია) (1:2)
0:1 დერონი (31 პენ.), 1:1 მალეკოსი (33 პენ.), 2:1 ელია (45), 3:1 კარალამბიდესი (67), 4:1 დასკალაკისი (69), 4:2 დერონი (82)
გაძევება: აგათოკლეუსი (აპოელი 38)

ზაგრები (ხორვატია) 2:1 **ზალაეგერსეგი** (უნგრეთი) (0:1)
1:0 მილინოვიჩი (2), 2:0 ლოვრეკი (28), 2:1 ურბანი (89 პენ.)
გაძევება: კოშკარდი (ზალაეგერსეგი 80)

ჰიბერნიანსი (მალტა) 3:3 **ბოავიშტა** (პორტუგალია) (0:4)
0:1 ოლუკოვალეტერი (28), 1:1 მიფსუდი (32), 1:2 კლაუდიო (38), 1:3 ტურა (40), 2:3 მისფუდი (58 პენ.), 3:3 ჩუკნერე (55)

### მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

| | | |
|---|---|---|
| სპორტინგი (პორტუგალია) | — | ინტერი (იტალია) |
| მილანი (იტალია) | — | სლოვანი (ჩეხეთი) |
| რუსენბორგი (ნორვეგია) | — | ბრონდბიუ (დანია) |
| შახტარი (უკრაინა) | — | ბრიუგე (ბელგია) |
| აპოელი (კვიპროსი) | — | აეკ (საბერძნეთი) |
| ბარსელონა (ესპანეთი) | — | ლეგია (პოლონეთი) |
| ლევსკი (ბულგარეთი) | — | დინამო (უკრაინა) |
| ჟელეზნიჩარი (ბოსნია) | — | ნიუკასლი (ინგლისი) |
| პარტიზანი (იუგოსლავია) | — | ბაიერნი (გერმანია) |
| გენკი (ბელგია) | — | სპარტა (ჩეხეთი) |
| მაკაბი (ისრაელი) | — | შტურმი (ავსტრია) |
| სელტიკი (შოტლანდია) | — | ბაზელი (შვეიცარია) |
| ფეიენოორდი (ჰოლანდია) | — | ფენერბაჰჩე (თურქეთი) |
| ზალაეგერსეგი (უნგრეთი) | — | მანჩესტერი (ინგლისი) |
| ბოავიშტა (პორტუგალია) | — | ოსერი (საფრანგეთი) |
| ლოკომოტივი (რუსეთი) | — | გრაცერი (ავსტრია) |

*პირველი მატჩები 13 და 14 აგვისტოს გაიმართება, საპასუხოები — 27 და 28 აგვისტოს*



REUTERS

ჟელეზნიჩარი — ლილესტრიომი. სტუმართა მეკარე ემილ ბარონი ბოლო წუთამდე სასწაულებს სჩადიოდა

# მე ვარ ერთი ციდა, მე ლიგაში მინდა



REUTERS

ლეგია — ვარდარი. მასპინძელი ცეზარ კუჩარსკი ისე ახტა, დრაგან ნაჩევსკი თავდაცვისთვის მოემზადა

**გუნდებმა** არ იძუნწეს და მთლიანობაში 42 გოლი გაიტანეს, საშუალოდ 3 გოლი თითო მატჩში, მაგრამ უფრო საინტერესო ისაა, რომ გოლთა რაოდენობა ტაიმებზე ზუსტად გადანაწილდა — 21 პირველში და ამდენივე მეორე ნახევარში.

ერთი დამთხვევაც, 14 შეხვედრაში დანიშნული ექვსი პენალტიდან ორი მატჩების ბოლოსწინა წუთებზე გაიჩარხა. თერთმეტმეტრიანებზე ყურადღება კი ერთი მიზეზის გამო გავამახვილეთ — ზალაეგერსეგელმა ფლორიან ურბანმა ზუსტად შესრულებული თერთმეტმეტრიანის წყალობით „მანჩესტერ იუნაიტედს" ბუდაპეშტის ბილეთები შეაკვეთინა.

ზაგრებში ყველაფერი ხავერდოვნად დაიწყო. მასპინძლებმა იხუვლეს და მეორე წუთზევე დამირ მილინოვიჩმა სტუმარ მცველთა დაბნეულობით ისარგებლა.

ხორვატებმა გამარჯვების სურნელი ტაიმის შუაწელში იგრძნეს, როცა მოუსვენარმა კრუნო ლოვრეკმა უნგრელები მეორედ მიასავათა.

შესვენების შემდეგ ხორვატებმა თვალები მილულეს. ისინი საკუთარ კართან დალასლასებდნენ და მეტოქის შეტევებს იგერიებდნენ. მეოთხმოცე წუთზე კრუნო ლოვრეკმა სტუმრები კონტრიერიშზე გამოიჭირა, მეკარესთან თითქმის პირისპირ გასულს კი კოშკარდი სწვდა მაისურაზე, რისთვისაც დამჭერი მინდვრიდან მიაბრძანეს. მასპინძლები უკეთესს რას ინატრებდნენ, თუმცა კაცნაკლული „ზალაეგერსეგი" უფრო გაშმაგდა, რაც ესპანელმა მსაჯმა პენალტით დაუფასა. აი, იქ იყო, თუ იყო მსაჯისკენ გაწევ-გამოწევა, მაგრამ რაღა ეშველებოდა — ფლორიან ურბანმა გაიტანა. დარჩენილ დროში კი უნგრელებმა ისეთი ჯებირები ააშენეს, ერთი სანგრები არ ამოუთხრიათ.

„ზალაეგერსეგის" მწვრთნელი პეტერ ბოჟიკი: „სწრაფმა გოლმა ცოტა დაგვაბნია, მაგრამ ბიჭები მაინც გონს მოვიდნენ. შესვენებისას მათ გასახდელში ვუთხარი, რომ წარმატების შემთხვევაში ისინი თვით როი კინს, რაიან გიგზს და დევიდ ბექჰემს შეხვდებოდნენ. ჩანს, ამან გაჭრა, კაცნაკლულებმაც კი ბოლომდე იბრძოლეს."

„ზაგრების" მოთამაშემ ადმირ ჰასანჩიჩმა ცრემლი ჩამოაგდო: „ეს ტრაგედიაა, გაუგებარია, როგორ ვერ შევინარჩუნეთ უდიდესი უპირატესობა."

მეორე ინგლისურ გუნდს, „ნიუკასლს", ბოსნიური „ჟელეზნიჩარის" გაკვნეტა მოუწევს.

ბოსნიელებმა ნორვეგიელ მიმხედურთ პირველივე ტაიმში ტყაპატყუპი აუყენეს, მაგრამ „ლილესტრიომის" მეკარე სასწაულებს სჩადიოდა.

მეორე ნახევარში მასპინძლები თავიანთ საჯარიმოს მიუცუცქდნენ და იშვიათად იჩხვლიტებოდნენ. სკანდინაველები კი ძირითადად მაღალი გადაცემებით ცდილობდნენ მეტოქის დაცვის მოშლას, თუმც ვერ შეძლეს.

ერთადერთი გოლი ბოლო წუთზე გავიდა, როცა სარაევოელთა კაპიტანმა ევლენდ ბიშჩევიჩმა მაინც მოახერხა სტუმართა მეკარის გოლით დასაჩუქრება.

„ჟელეზნიჩარის" მწვრთნელი ამარ ოსიმი სიხარულს ვერ ფარავდა: „რთული მატჩი გველოდა, მაგრამ ჩემმა გუნდმა დაამტკიცა, რომ გადამწყვეტ მომენტში მობილიზება ძალუძს. განსაკუთრებით დაცვაში ვივარგეთ."

ბელგრადში „პარტიზანმა" და „ჰამარბიმ" პირველი ნახევარი პინგ-პონგში გალიეს. ორივე ფრთხილობდა, განსაკუთრებით დამხვდური.

ანტრაქტის შემდეგ ვლადიმირ ივიჩის ერთი ზუსტი გასროლა საკმარისი აღმოჩნდა შვედთა დასარბევად. 26-წუთიან მონაკვეთში გოლები „ჰამარბის" კარში ყველამ გაიტანა, ვისაც არ ეზარებოდა.

ტირანაში „ბრონდბიუმ" „დინამო" გაანადგურა. ვიკინგებმა მეორე ტაიმში სამსამ წუთიანი სერიალები აჩვენეს. დანიელები მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდნენ. მასპინძლებმა მხოლოდ ორი საგოლე მომენტის მსგავსი რაღაც შექმნეს, ეგ იყო და ეგ. დანარჩენ დროს „ბრონდბიუ" ბურთს თავის გემოზე დააგორებდა. შედეგად, ორ სამწუთიან მონაკვეთში ალბანელები იმსხვერპლეს.

მიქაელ ლაუდრუპი: „ჩემი გუნდის პროგრესი აშკარაა, ბოლო ხუთ მატჩში განსაკუთრებით მეორე ტაიმში ვთამაშობთ ბრწყინვალედ. ბიჭები შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაში არიან. „რუსენბორგთან" მომავალი პაექრობის შანსებს თანაბრად ვაფასებ."

ნიქოზიაში 10 ათას მაყურებელს „აპოელმა" სანახაობა აჩუქა. ეს ის შემთხვევა გახლდათ, კაცნაკლული გუნდი უფრო რომ მოინდომებს. „აპოელს" ძირითადი შემადგენლობის ორი მოთამაშე ისედაც აკლდა.

„მარიბორი" მაგრად დაუხვდა მეტოქეს. სამირ დურომ სლოვენიელები დააწინაურა, თუმცა კოსტას მალეკოსმა ორიოდ წუთში უპასუხა. მალე მარიო აგათოკლეუსი ორი ყვითელი ბარათის გამო გააბრძანეს, მაგრამ კვიპროსელებს ცხვირი არ ჩამოუშვიათ, მეტოქეს გაორმაგებული ენერგიით ებრძვნენ. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე სტავროს გეორგიუმ წამით მიტოვებული მარიოს ელია მონახა და მანაც გულშემატკივრები ადგილიდან წამოყარა.

„აპოელმა" ისეთი ცეცხლით დაანთო, ვერანაირი მეტოქე ვეღარ შეაჩერებდა. მეორე ტაიმის დაწყებიდან 11 წუთში სლოვენიელთა ოცნებები საბოლოოდ გაცამტვერდა. ახლა „აპოელი" ათენის აეკ-ს შეებმება, რომელსაც ათი წლის წინ ასევე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გადაეყრია. მაშინ, კვიპროსზე 2:2 ითამაშეს, სტუმრად 1:1 და აეკ-მა იმარჯვა.

ბობრუისკის „ბელშინამ" ყველაფერზე ხელი ჩაიქნია. სტუმრად ოთხ გაშვებულს კოლექციისთვის ერთიც შინ მიუმატა.

იცხაკ შუმის გუნდს შვიდი წუთი დასჭირდა, რათა ორი მატჩის ჯამში ანგარიში ხუთამდე დაემრგვალებინა. რაფი კოენიმ იანივ კატანი მოძებნა, მისი წადილი კი სერგეი სინიცინმა დაამუხრუჭა, რისთვისაც მსაჯმა თერთმეტმეტრიანით ებრაული კლუბი დააჯილდოვა ნენად პრალიას ფეხი არ აუკანკალებია.

იცხაკ შუმი შედეგით კი კმაყოფილი დარჩა, მაგრამ არა გუნდის თამაშით: „ერთადერთი, რაც დღეს სასიხარულოა, ისაა, რომ შემდეგ ეტაპზე გავედით. რაც შეეხება ჩემი ფეხბურთელების თამაშის ხარისხს, ასე „შტურმის" ბარიერს ვერ გადავლახავთ. ავსტრიელების ძლევისთვის მეტი ძალა და მონდომებაა საჭირო."

რუმინეთის „დინამომ" ერთობ მოინდომა. დებიუტშივე ეძგერა „ბრიუგეს", მაგრამ მხოლოდ იმას გამორჩა, რომ ნორვეგიელმა ლეგიონერმა რუნე ლანგემ მასპინძელთა გამარჯვებაზე ოცნება მალევე დაასამარა.

მეტოქეებს არაერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ. დინამოელები თვითონ სცოდავდნენ, ბელგიურ გუნდს კი რუმინელმა მეკარემ შეუშალა ხელი 3-4 გოლის გატანაში. ბუქარესტში მატჩი წვიმის წკაპაწკუპის აკომპანიმენტით ჩატარდა, რასაც „ბრიუგეს" მწვრთნელი ძალიან გაუხარებია: „ბედნიერი ვარ, რომ წვიმდა, რადგან ჩვენთან უმეტესად ასეთი ამინდია და ფეხბურთელებიც მიჩვეულნი არიან წვიმაში თამაშს."

თავი არ შეირცხვინა მალტურმა „ჰიბერნიანსმა". მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეთა ნახევარზე მეტი „ბოავიშტამ" თან არ იახლა, ანგარიში პირველი ტაიმის მიღეულს უკვე ხოლიდური იყო. კუნძულელებმა მეორე ნახევარში ივარგეს და პორტუგალიელებს ის ერთი სარეიტინგო ქულა მაინც აფუცქნეს, ჩვენ სანატრელი რომ გაგვიხდა.

შვეიცარიის ჩემპიონმა „ბაზელმა" სლოვაკურ „ჟილინას" აჯობა. კრისტიან ხიმენესმა და მურატ იაკინმა ოცდამესამე წუთისთვის შეხვედრას აზრი დაუკარგეს. ვერც მანამდე ყოჩაღობდა „ჟილინა" და აბა, ორგოლგაშვებული რაღას იზამდა. საბოლოოდ ხიმენესმა დუბლი შეასრულა, „ბაზელს" კი „სელტიკთან" ათი თვალი და ცხრა პირი ტყავი დასჭირდება.

ვარშავის „ლეგიამ" და სკოპიეს „ვარდარმა" ძმურად გაყრა ამჯობინეს, თუმცა „ვარდარის" მეკარე იოვჩევმა გოლის ავტორის, კუჩარსკის არაერთი დარტყმა მოიგერია.

„ლეგიას" იუგოსლაველი მწვრთნელი დრაგომირ ოკუკა: „ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ამ ბარიერს გადავლახავდით. გუნდს გაცილებით უკეთესად შეუძლია თამაში და საამისო პოტენცია გააჩნია. დღეს ევროპაში ადვილად დასამარცხებელი გუნდები აღარ არიან, არც „ვარდარია" ხელწამოსაკრავი, თუმცა კლასით ვაჯობეთ. ჩემი ფეხბურთელები სკოპიეში ჩატარებული პირველი მატჩიდან მოყოლებული მხოლოდ „ბარსელონაზე" ფიქრობენ."

სოფიაში აშკარა იყო „ლევსკის" უპირატესობა „სკონტოზე". პირველ ტაიმში მასპინძლები ვითარებას აკონტროლებდნენ და ბევრსაც მოძრაობდნენ. აღსანიშნავია, რომ პირველი გოლი რიგელთა მეკარის, პავლოვსის შეცდომას მოჰყვა. მან, საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა. მეორე გოლი სწრაფი კონტრშეტევის შედეგად გავიდა. სიმონოვიჩმა პავლოვსი ტაიმის შუაწელში დაალონა.

შესვენების შემდეგ ლატვიელებმა ოდნავ აწყვეს თამაში და მასპინძელთა საჯარიმოს გაუშინაურდნენ. ვერპაკოვსკის და ბუიტკუსს შეეძლოთ გატანა, მაგრამ გუშინწინ „სკონტოს" დღე არ იყო.

დიდი გაწამაწია გამოიწვია „პიუნიკი" — „დინამოს" მატჩმა. ჯერ გადაწყვიტეს, რომ შესვლა უფასო იქნებაო, მერე გადაიფიქრეს, შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა, ეგ ამბავი არეულობას გამოიწვევს, ბილეთები გაყიდეთო. თითქოს დაიწყეს კიდეც ბილეთების გაყიდვა, რომ ისევ გადაიფიქრეს — უფასოდ შესვლა იქნებაო.

სტადიონს, ცხადია, ზღვა ხალხი მიაწყდა, მაგრამ საგანგაშო არც მატჩამდე მომხდარა და არც მატჩის შემდეგ. პირიქით, სომხეთის დედაქალაქი კიევის „დინამოსთან" ფრედ დასრულებულ შეხვედრას ზეიმობდა. ხუმრობა საქმე ხომ არაა, ორბურთიანი სხვაობით აგებდნენ, გაათანაბრეს და მოგების მცირე შანსიც ჰქონდათ.

ისევ ჩვენ ვიკითხოთ, ფრე რაა, იმასაც ვერ გამოვკარით ხელი.

**გაგა ხუციშვილი**

# ინტერტოტოს თასი

## ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

სლავენი (ხორვატია) 0:1 შტუტგარტი (გერმანია) (1:2)
0:1 დანდი (38)
ტეპლიცე (ჩეხეთი) 1:3 ბოლონია (იტალია) (1:5)
0:1 ნერვო (15), 0:2, 0:3 კოლუჩი (20, 40), 1:3 გრლიჩი (90)
ტრუა (საფრანგეთი) 2:1 ვილიარეალი (ესპანეთი) (0:0)
0:1 კალეხა (6), 1:1 გაზი (40), 2:1 გუსე (67ჰ)
ტილბურგი (ჰოლანდია) 0:1 მალაგა (ესპანეთი) (1:2)
0:1 დელი ვალდესი (65)
სოშო (საფრანგეთი) 0:2 ფულემი (ინგლისი) (0:1)
0:1 ლეგვინსკი (63), 0:2 ჰეილსი (73)
ასტონ ვილა (ინგლისი) 0:2 ლილი (საფრანგეთი)
0:1 ფაჰდი (45), 0:2 ბონალი (46)

### ფინალური მატჩები

ვილიარეალი (ესპანეთი) — მალაგა (ესპანეთი)
ბოლონია (იტალია) — ფულემი (ინგლისი)
ლილი (საფრანგეთი) — შტუტგარტი (გერმანია)

პირველი მატჩები 13 აგვისტოს გაიმართება, საპასუხოები — 27 აგვისტოს



ტეპლიცე — ბოლონია. კრისტიან ძყარდომ ბურთი და მეტოქე რადენ დივეკი ვერ დაინახა, ფინალში კი გავიდა

# ტრუამ განაცხადში განაჩენი ჩაიწერა

**„ტრუამ“** საკუთარი ხელით გამოიჭრა ყელი. შეცვლაზე შესული დავიდ ვერელი სამატჩო განაცხადში საერთოდ არ ეწერა. მერე სტანდარტული პროცედურა ჩატარდა და ფრანგულ გუნდს ტექნიკური წაგება — 0:3 ჩაეთვალა. თასის ფინალშიც შესაბამისად, „ვილიარეალი“ გავიდა, სადაც თანამემამულე „მალაგას“ შეხვდება. არადა, ტრუელებს გვარიანი გარჯა დასჭირდათ ესპანელთა დასამარცხებლად.

ყველაფერი „ტრუას“ საწინააღმდეგოდ დაიწყო. მასპინძელთა ორი გამოუყენებელი მომენტის შემდეგ „ვილიარეალმა“ მე-6 წუთზე ხავიერ კალეხას გოლით გახსნა ანგარიში. ამას ფრანგთა გამუდმებული იერიშები და მე-40 წუთზე ფარიდ გაზის გამთანაბრებელი მოჰყვა. ტაიმის ბოლომდე ერთი წუთით ადრე კი ტრუელმა გარიბ ამბზინმა მეორე ყვითელი ბარათი იხილა და თავისი გუნდიც უმცირესობაში დატოვა.

პრიმერადივიზიონელებმა ვერც ათკაციან „ტრუას“ მოუხერხეს რამე მეორე ტაიმის მე-11 წუთზე ნიკოლა გუსემ პენალტით ზუსტად ის შედეგი დააფიქსირა, რაც ფრანგულ კლუბს აძლევდა ხელს — ცხადია, ის სულელური შეცვლა რომ არა.

„ვილიარეალი“ მხოლოდ მატჩის ბოლო ხუთი წუთი მიეძალა ფრანგთა საჯარიმოს და მასპინძლებიც გვარიანად ანერვიულა, თავადაც ინერვიულა, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი ვილიარეალელთა სასიკეთოდ დამთავრდა. ოღონდ „ტრუას“ ტექნიკური დამარცხების ამბავი მხოლოდ მეორე დღეს გაცხადდა.

თასის ფინალში გააღწია ბუნდესლიგელმა „შტუტგარტმა“. გერმანელებმა საკუთარ მოედანზე არასაიმედო ანგარიშით იმარჯვეს, მეტოქე გააზელეს და ამიტომ ხორვატიაში საპასუხო მატჩის დასაწყისი დაცვაზე ზრუნვაში გაატარეს. სწორედ საწყის ნახევარ საათში ჰქონდა „სლავენს“ რამდენიმე საგოლე მომენტი, მაგრამ ვერ გამოიყენა. ამის შემდეგ შონ დანდის თავურმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. ეს გოლი პირველი ნახევრის მიწურულს გავიდა და „სლავენსაც“ ენთუზიაზმი გაუნელდა, მეორე ტაიმში კი გერმანელებმა მშვიდად მიიყვანეს საქმე საბოლოო გამარჯვებამდე.

ბირმინგემის „ვილა პარკზე“ კი „შტუტგარტის“ მეტოქის ვინაობა ირკვეოდა. საფრანგეთში ნათამაშებმა ფრემ „ასტონ ვილა“ ფავორიტად აქცია, თუმცა ინგლისელებმა მეტოქის მოედანზე მიღწეული უპირატესობა ვერ შეინშნეს და „ლილს“ საკუთარი ქომაგის თვალწინ დაავჯაბნინეს თავი.

მატჩი ვილელთა უპირატესობით დაიწყო. ფრანგთა მეკარემ ჯერ პიტერ კრუშს აულო, შემდეგ სტიუარტ სტონტონმა დაჰკრა თავური, თუმც გოლი მასპინძელთა კარში გავიდა აბდალაჰ ფაჰდის მიერ იდეალურად შესრულებული საჯარიმოთი.

მომდევნო სათამაშო წუთზე, რომლამდეც გუნდები შესვენებაზე გავიდნენ ინგლისელთა დაცვის შეცდომით ნიკოლა ბონალიმ ისარგებლა და „ლილს“ ორბურთიანი უპირატესობა უბოძა.

„ვილას“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ინგლისელები ბრძოლას მაინც განაგრძობდნენ. სტონტონს და დარიუს ვასელს მეორე ტაიმში კარგი მომენტებიც შეექმნათ, მაგრამ საუკეთესო ეპიზოდი მაინც ფრანგებისა იყო. ალბიონელთა მეკარე ენკერმანმა და მცველმა ოლაფ მელბერგმა ბურთი ლილელ ბრუნეს ჩააბარეს და მანაც ანგარიში კინაღამ გამანადგურებელი გახადა. მატჩის ბოლოს „ლილს“ სილვენ ნდიაე გაუძევეს, თუმცა უკვე განწირული „ასტონ ვილასთვის“ ეს დიდი ვერაფერი ნუგეში იყო.

ინგლისურ-ფრანგული კლუბების მეორე დუელში ლონდონურმა „ფულემმა“ ზუსტად ისეთივე ანგარიშით მოიგო სტუმრად „სოშოსთან“, როგორც „ლილმა“ ბირმინგემში. თუმცა ფრანგული კლუბის წაქცევაში პრემიერლიგის ერთ-ერთ ყველაზე „ფრანგულ“ კლუბს ისევ ფრანგები დაეხმარნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, სილვენ ლეგვინსკიმ ანგარიშიც გახსნა. თუმცა ეს მეორე ტაიმში იყო, პირველ ნახევარში კი მცირეოდენ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ და ორი მატჩის ჯამში ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლოთ.

64-ე წუთზე, სტუმარი თანამემამულისგან გაშვებული ბურთის შემდეგ, „სოშო“ დანებდა. ფრანგებს მეორე გოლი 9 წუთში ბარი ჰეილსიმაც გაუტანა და ყველაფერს საბოლოოდ დაესვა წერტილი. ამ დროისთვის მატჩის ბოლომდე ჩვიდმეტიოდე წუთიღა რჩებოდა და „ფულემსაც“ თავისუფლად შეეძლო უკვე გატეხილი მასპინძლების განადგურება, თუმც ჯერ იმავე ჰეილსიმ, შემდეგ კი შონ ლევისმა ვერ გაიტანეს. მე-80 წუთზე მასპინძლებს პედრეტი გაუგდეს და ფრანგთა იმედებიც საბოლოოდ დასამარდა.

„ვილიარეალისგან“ განსხვავებით, თავისი პრობლემა მშვიდად, მოედანზევე გადაჭრა „მალაგამ“. მალაგელებმა ესპანეთში მინიმალური ანგარიშით დამარცხებულ „ტილბურგს“ ჰოლანდიაშიც ერთბურთიანი სხვაობა აკმარეს. ერთადერთი გოლი დელი ვალდესმა გაიტანა.

ფინალში გავიდა „ბოლონიაც“. იტალიელები ჩეხურ „ტეპლიცეს“ ბარიერს რომ დაძლევდნენ, უკვე პირველი მატჩის შემდეგ გახდა ნათელი. ბოლონიელებმა ჩეხები არც სტუმრად დაინდეს და ორი მატჩის ჯამში 8:2 მოუგეს.

სხვათა შორის, საპასუხო თამაშამდე ტეპლიცელები თავს განწირულად სულაც არ თვლიდნენ და „ბოლონიასთან“ საჭიდაოდ საგულდაგულოდ ემზადებოდნენ, თუმცა ჩეხურ კლუბს არც საგანგებოდ ამ მატჩისთვის საუკეთესო ფეხბურთელთა დასვენებამ უშველა. მართალია, დასაწყისში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ და პაველ დოლიმშეკმა ჯანლუკა პალიუკაც ახტუნავა, მაგრამ პირველი ტაიმის 25-წუთიან მონაკვეთში ჯერ ნერვომ, შემდეგ ორჯერ სინიორის ნაცვლად შესულმა კოლუჩიმ ანგარიში 0:3 გახადეს და ჩეხები მხოლოდ პრესტიჟის გოლს დასჯერდნენ.

**სერგი ტორიძე**



ასტონ ვილა — ლილი. ინგლისელი მარკ დელანი მეტიუ შოლმმა (№21) გზიდან ჩამოიცილა

# რეალი? ვინ თქვა!

## რონალდო? არც გვიფიქრია!

### ბრაზილიელი ინტერის და კონტრაქტის ერთგული რჩება

**ვისაც** ახალი ამბავი გაინტერესებთ, ინებეთ: ბრაზილიელი ვარსკვლავი, მსოფლიოს ჩემპიონი რონალდო, „ინტერიდან“ არსად არ მიდის! სამშაბათს, მილანში ახალჩაფრენილი თავდამსხმელი ამბობდა, ჩემი აგენტი, ალექსანდრ მარტინსი უკვე გაურიგდა „რეალს“ და მადრიდში გადაბარგებას ვაპირებო, ოთხშაბათს კი „ინტერის“ ბაზაზე მისულ ჟურნალისტებს თავად მარტინსი შეეგებათ, რომელმაც განუცხადა, არა, ბატონო, რონალდო აქედან ფეხის მოცვლას არ აპირებსო.



რონალდომ „ინტერში“ ვარჯიშიც მოასწრო

იტალიური სააგენტოს, ANSA-ს ცნობით, ვარსკვლავს სამშაბათ საღამოს „ინტერის“ დიდმოხელე, რინალდო გელფი უნახავს. რა ილაპარაკეს ფეხბურთელმა და ბიზნესმენმა, კაცმა არ იცის, თუმცა, როგორც ჩანს, 25 წლის „ბაჭია“ მისი კაბინეტიდან სხვა ჭკუაზე გამოვიდა და ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ „რეალი“ ხმის ჩახლეჩამდე გაიძახის, არავითარი რონალდო ჩვენ არ გვჭირდება, მისი ყიდვა აზრადაც არ მოგვსვლია, თავი დაგვანებეთო.

ერთი სიტყვით, საფეხბურთო ბიზნესი დიდი ოხერი რამ არის და მასში ფრიად გაქნილი ხალხი მონაწილეობს. მაგალითად, ზემოხსენებული მარტინსი, რომელმაც ასე თქვა:

„რონალდომ აქ დარჩენა ამჯობინა. ის „ინტერის“ ფეხბურთელია და ოთხი წლის განმავლობაში, ყოველ დღე და ყოველ ღამე „ინტერზე“ იფიქრებს. მას ამ კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს, ხოლო კონტრაქტს პატივისცემა სჭირდება. მართალია, ხელმძღვანელებთან რაღაც საკითხები ჯერ კიდევ გასარკვევია, მაგრამ „რეალში“ გადასვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. „რეალს“ არც ჩვენ დავკავშირებივართ და არც რომელიმე მადრიდელს დაურეკავს ჩვენთვის“.

და იმავე მარტინსმა „რადიო კაპიტალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში იცით, რა განაცხადა?

„მე შევხვდი „რეალის“ სპორტულ დირექტორს ხორხე ვალდანოს, მაგრამ კონკრეტულად არაფერზე შევთანხმებულვართ.

გვქონდა მადრიდზე ლაპარაკი, რონალდო „ინტერის“ ფეხბურთელად რჩება. ამასთან, „ინტერის“ ნებართვის გარეშე ვინმესთან მოლაპარაკებების დაწყებას სულაც არ ვაპირებ“.

გავიხსენოთ, რომ რონალდო „ინტერის“ მილიარდერმა პრეზიდენტმა, მასიმო მორატიმ 1997 წელს „ბარსელონასგან“ 27,9 მილიონ დოლარად იყიდა და მას შემდეგ აცხადებს, ამ ბიჭზე ლაპარაკი მხოლოდ იმან დამიწყოს, ვისაც ასი მილიონი ემეტებაო.

კომენტარი, ბუნებრივია, ვალდანოსაც ჰკითხეს. მან უპასუხა:

„მთელი ისტორია მაშინ აგორდა, როდესაც რონალდოს აგენტი კლუბში მოვიდა და მაშინ დასრულდა, როდესაც ფეხბურთელი მილანში ჩავიდა. ყველაფერი აგენტის გამოგონილია, ჩვენ კი არანაირი მოლაპარაკება არ წამოგვიწყია და საერთოდ, რონალდოს ყიდვა თავში აზრადაც არ მოგვსვლია“.

აი, ასე. რონალდოს კი ჯერ კიდევ მოუწევს განრისხებულ მილანელ ქომაგებთან შეხვედრა. ბოლოს და ბოლოს, საკითხს მორალური მხარეც აქვს — 1998 წელს რომ დაშავდა, მთელი ორი წელიწადი მოედანს არ გაკარებია და ამ ხნის მანძილზე ერთი დღითაც არ დაუტოვებიათ გასაჭირთან პირისპირ, როგორი იყო?

სხვათა შორის, ოთხშაბათს, „ინტერის“ საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშის შემდეგ, იქ მოყრილი არცთუ მრავალრიცხოვანი ხალხიდან, თავის შავ BMW-სთან მისულ ვარსკვლავს ზოგმა ავტოგრაფი სთხოვა, ზოგმა კი სირცხვილი შენო, მიაძახა.

**ბაჩუნა ძიდია**



გუნდში ძველებურად სიმშვიდე და სიხალისეა


# იყიდება

ვაკეში, კეკელიძეზე
ახალგარემონტებული,
4-ოთახიანი, დუპლექსის
ტიპის ბინა
ტ: 29-13-75; 899 11-64-46



# ამხანაგური მატჩები



რეინჯერსი — ლიდსი. სქოთებს შოთა არველაძის პენალტმა უშველა

## შოთას წაქცევა გოლია

## ვან გაალმა რობსონს ჭკუა ასწავლა

**რეინჯერსი 1:1 ლიდსი**

0:1 სმიტი (17), 1:1 არველაძე (60 პენ.)

**რეინჯერსი:** კლოსი, მუსკატი, როსი, ამორუზო (მური 46), მალკოლმი, კონტერმანი, რიკსენი (ლატაპი 46), არტეტა (მოუზი 46), ლოვენკრანდსი (არველაძე 46), ფლო (მოლსი 88), კანიჯა (დოდსი 67)

**ლიდსი:** რობინსონი (მარტინი 46), მილსი, ჰარტი, ვუდგეიტი (რადები 23), მატეო, ბაკე, დუკური (ოინსონი 69), ბოიერი, კეუელი (მაკფილი 86), კინი (ულოფსონი 69), სმიტი

**შოტლანდიური** პრემიერლიგის პირველ ტურში „კილმარნოკთან" ნათამაშევი ფრის (1:1) შემდეგ, ოთხშაბათს „რეინჯერსი" ამხანაგურად გაეჯიბრა ინგლისურ „ლიდსს" და ისევ შოთა არველაძის გოლის წყალობით 1:1 ითამაშა.

პირველ ტაიმში გლაზგოელთა მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა წინა ხაზზე კვლავ სამი თავდამსხმელი, ლოვენკრანდსი, ფლო და კანიჯა გაამწესა, თუმცა თავიდან მასპინძლები ბევრს ვერაფერს გამორჩნენ. მეტიც, მე-17 წუთზე გოლიც გაუშვეს. იან ჰარტმა მოხერხებულად აუარა გვერდი მუსკატს, ჩაწოდებაც ოსტატური გამოუვიდა და ალან სმიტმა თავით შეაგდო.

მოგვიანებით მოწინააღმდეგეებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი გაცვალეს, ფლომ ახლოდან ვერ მოარტყა კარში, რობი კინმაც ხელსაყრელ ვითარებაში ვერ ივარგა, სმიტის მეორე გოლი კი მსაჯმა თამაშგარეს გამო გააუქმა.

შესვენებაზე მაკლიშმა ოთხი ფეხბურთელი შეცვალა. ლოვენკრანდსის ადგილი შოთა არველაძემ დაიკავა.

დაიკავა და მალევე გაათანაბრა კიდეც. მანამდე შესანიშნავად მოთამაშე ჰარტმა ერთ-ერთი შეტევისას ჩვენებურს ვერაფერი მოუხერხა და საკუთარ საჯარიმოში წააქცია. პენალტი თავად შოთამ დაარტყა და მეკარე ნაიჯელ მარტინს დაბალ კუთხეში გაუტანა.

მაკლიში კმაყოფილი დარჩა თავისი ფეხბურთელების გარჯით, კარგად ითამაშეს, მოწინააღმდეგეს ტემპშიც აუებს მხარი და არც სიმწყობრე დაეწუნებოდათ, ეს გუნდი აშკარად სჯობდა წინა შაბათისას, როცა „კილმარნოკთან" ორი ქულა დავკარგეთო.

**ნიუკასლი 0:3 ბარსელონა**

0:1 კლუივერტი (28), 0:2 სავიოლა (35), 0:3 ლუის ენრიკე (60)

**ნიუკასლი:** გივენი (მარმერი 64), სოლანო, დაიერი (ამეობი 77), შირერი, სპიდი, ჰიუზი, ბრუმბლი, ლუალუა (ჯენასი 62), დაბიზასი (გრიფინი 77), ბერნარი, ვიანა

**ბარსელონა:** ვალდესი, პუიოლი (რაიციგერი 8, გარსია 46), დე ბური, ერნანდესი, ნავარო, კოკუ, მენდიეტა, სავიოლა, კლუივერტი (დებერსონი 62), ლუის ენრიკე (რიკელმე 77), მოტა

**„ბარსელონამ"** და „ნიუკასლმა" ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი ჩაბმამდე ბოლოჯერ გაივარჯიშეს, ერთმანეთს ნიუკასლის „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" ამხანაგურად შეხვდნენ და თუ კატალონიელები პოლონურ „ლეგიას" ამაღლებული განწყობით შეებმებიან, ბრიტანელებს ბოსნიურ „ჟელეზნიჩართან" მატჩამდე, ალბათ, არა ერთი „ტკბილი" სიტყვის მოსმენა მოუწევთ.

„ბარსელონამ" 3:0 მოიგო და ერთი პენალტიც გააცუდა. არადა, საწყის 20 წუთში სტადიონზე მისული 52 ათასამდე მაყურებელი სულ სხვა სურათის მოწმე იყო. მასპინძლებმა მძლავრად დაიწყეს და დაწინაურდებოდნენ კიდეც, დებიუტანტ უგო ვიანას ზუსტად რომ დაერტყა, მალევე ნიკოს დაბიზასის ძლიერმა თავურმა ვერ უწია მიზანს, მერე კი ლომანო ლუალუამ ვერ ივარგა.

ვერ გაიტან და გაგიტანენო, ნათქვამია. ასეც მოხდა, 28-ე წუთზე პატრიკ კლუივერტმა ფილიპ კოკუს გრძელი პასი შეიფერა და თავისიანები დააწინაურა. მერე სტუმრებმა ორი გოლი ახალწვეული გაისკა მენდიეტას პასებით გაიტანეს. ჯერ ჭაბუკი ხავიერ სავიოლა გამოირჩა, შემდეგ ლუის ენრიკე. ბოლოს კი იმავე კლუივერტს პენალტი შეი გივენმა აუღო.

თამაშის შემდეგ მასპინძელთა დამრიგებელმა ბობი რობსონმა თქვა, კატალონიელებმა ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი ჩაგვიტარესო. ხოლო სტუმართა თავკაცი ლუის ვან გაალი, ცხადია, სიხარულს ვერ მალავდა: ბედნიერები ვართ, რომ ძლიერ მეტოქეს ვაჯობეთ. ჩემმა ფეხბურთელმა ჩინებულად ითამაშეს ინდივიდუალურად და ბურთსაც ოსტატურად აკონტროლებდნენ. უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ რთული დასაწყისის მერე მოახერხეს და მატჩის ბედი სათავისოდ შემოატრიალესო.

**ტოტენჰემი 1:1 სელტიკი**

1:0 ივერსენი (8), 1:1 მელონი (29)

**ტოტენჰემი:** კელერი, კარი, ბუნიევჩევიჩი, დეფოსი, პერი, რიჩარდსი, ანდერტონი, აჩიმოვიჩი (დოჰერთი 71), ივერსენი, შერინგემი, ციგე (ტარიკო 17)

**სელტიკი:** ჰედმანი, მაკნამარა, ვალგაერენი (ბოლდი 53), პელი (მილერი 83), მელონი (სილა 72), სმიტი (მეტა 76), კრეინი (ბალდე 55), გუბა, ფერნანდესი, ლაურსენი, ლენონი (პეტროვი 46)

**„სფურზმა"** და „სელტიკმა" „უაით ჰართ ლეინზე" მძაფრი და უხვშანსიანი მატჩი გამართეს. ლონდონელები მე-8 წუთზე დაწინაურდნენ, როცა სტეფან ივერსენმა ახლოდან გაიტანა. საპასუხო კი სელტიკელთა ჭაბუკმა შონ მელონიმ 29-ზე დიდებული საჯარიმოთი შეაგდო.

მეორე ტაიმში „ტოტენჰემს" ორი გოლით დაწინაურებაც შეეძლო, მაგრამ მსაჯმა ორივეჯერ არ დანიშნა პენალტი, პირველად ახალწვეული აჩიმოვიჩის, ხოლო მეორედ იმავე მელონის წაქცევისთვის.

ბოლოსკენ ტედი შერინგემიც გააქტიურდა. ჯერ ივერსენს შეუქმნა საგოლე მომენტი, 88-ზე კი თავად აღმოჩნდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ვერ ივარგა.

**სოლომონ გულისაშვილი**



ნიუკასლი — ბარსელონა. ლუის ენრიკემ ნოლბერტო სოლანო არ დაინდო



ტოტენჰემი — სელტიკი. ტედი შერინგემს
ბოლო წუთზე გამარჯვების გოლის გასატანად სულ ცოტა დააკლდა

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიური** „ფიორენტინა 1926", ანუ გაკოტრებული „ფიორენტინას" ნაცვლად დაარსებული ახალი ფლორენციული გუნდი, იტალიური ფეხბურთის მამებმა სერია C2-ში გაამწესეს. ახალი გუნდის ახალ ხელმძღვანელობას იმედი ჰქონდა, რომ საფეხბურთო ლიგა სერია C1-ში თამაშის უფლებას მისცემდათ. ლიგის წარმომადგენელმა ნოსენცო მაცინამ კი ფლორენციელები დააშოშმინა, მადლობა თქვით, სამოყვარულო ლიგაში რომ არ გიკარით თავიო.

**რუსეთის ნაკრების აწ უკვე ყოფილ წევრ ალექსანდრ მოსტოვოის არ გაჰკვირვებია, როცა თავისი გვარი ნაკრების 59-კაციან სიაში ვერ იხილა. „ვიცოდი, მოვიდოდა დრო, როცა ჩემი სანაკრებო კარიერა დასრულდებოდა. მესმის — ახალი მწვრთნელი, ახალი ნაკრები, ახალგაზრდა ფეხბურთელები... მაგრამ თუ გაზაფხულზე ჩემი სამსახური დასჭირდება, ყოველთვის მზად ვიქნები" — განაცხადა „სელტას" რუსმა ლეგიონერმა.**

**ესპანურმა** „რეალმა" ინგლისურ „ტოტენჰემს" ფერნანდო მორიენტესის ტრანსფერზე უარი შეუთვალა. მადრიდელებს ძირითადი შემადგენლობის თავდამსხმელთან განშორება არ სურთ, მიუხედავად იმისა, რომ „მამლები" 15 მილიონ გირვანქას იხდიდნენ. მოარული ხმები ამას „ინტერიდან" „რეალში" რონალდოს ტრანსფერის ჩაშლით ხსნიან, თუმცა მოსალოდნელია, ბრიტანელებმა თანხა გაზარდონ.

**რუსეთის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა 2 აგვისტოს მომხდარი შემაძრწუნებელი ფაქტის გამო. შეგახსენებთ, რომ მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელის კონსტანტინ ზირიანოვის მეუღლე ოლგამ, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა, 4 წლის შვილს ხელი სტაცა და მერვე სართულიდან გადახტა, რის შედეგადაც მცირეწლოვანი გოგონა დაიღუპა. ახლა ოლგა ზირიანოვა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია და თუ სიკვდილს გადაურჩა, ბავშვის მკვლელობისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.**

| | | **9 აგვისტო** | | | |
| 23.00 | 2501 | დორტმუნდი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **10 აგვისტო** | | | |
| 18.30 | 2502 | კოტბუსი-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2503 | ნიურნბერგი-ბოხუმი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2504 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2505 | შალკე-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2506 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **11 აგვისტო** | | | |
| 20.30 | 2507 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 2508 | არმინია-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **9 აგვისტო** | | |
| 23.00 | 2201 | დორტმუნდი-ჰერტა | 1,8- | 1,8 |
| | | **10 აგვისტო** | | |
| 18.30 | 2202 | კოტბუსი-ლევერკუზენი | 1,9 | -1,7 |
| 18.30 | 2203 | ნიურნბერგი-ბოხუმი | 1,85 | 1,75 |
| 18.30 | 2204 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2205 | შალკე-ვოლფსბურგი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 2206 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 1,7 |
| | | **11 აგვისტო** | | |
| 20.30 | 2207 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 1,9 | 1,7 |
| 20.30 | 2208 | არმინია-ვერდერი | 1,85 | 1,75 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **9 აგვისტო** | | |
| 23.00 | 2301 | დორტმუნდი-ჰერტა | 1,7 | 1,9 |
| | | **10 აგვისტო** | | |
| 18.30 | 2302 | კოტბუსი-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2303 | ნიურნბერგი-ბოხუმი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2304 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2305 | შალკე-ვოლფსბურგი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2306 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 1,65 | 1,95 |
| | | **11 აგვისტო** | | |
| 20.30 | 2307 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 1,7 | 1,9 |
| 20.30 | 2308 | არმინია-ვერდერი | 1,7 | 1,9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **9 აგვისტო** | | |
| 23.00 | 2401 | დორტმუნდი-ჰერტა | 1,6 | 2,4 |
| | | **10 აგვისტო** | | |
| 18.30 | 2402 | კოტბუსი-ლევერკუზენი | 2,2 | 1,7 |
| 18.30 | 2403 | ნიურნბერგი-ბოხუმი | 1,7 | 2,2 |
| 18.30 | 2404 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 2,4 | 1,6 |
| 18.30 | 2405 | შალკე-ვოლფსბურგი | 1,35 | 3,2 |
| 18.30 | 2406 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 1,7 | 2,2 |
| | | **11 აგვისტო** | | |
| 20.30 | 2407 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 1,5 | 2,7 |
| 20.30 | 2408 | არმინია-ვერდერი | 2,0 | 1,8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შვეიცარია. A ჯგუფი. 2001-02. VII ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | 1X | 1/2 | X/2 | მს | 2001-02 | 2000-01 | 1999-00 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10.08.02 | 20.30 | 174 | 1:1აარაუ; ბაზელი1:1; 1:0თუნი **სანქტ გალენი V ვილი** ციურიხი0:1; 2:1დელემონი; იანგ ბოისი3:2 | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 | - | - | - | - |
| 10.08.02 | 20.30 | 175 | 2:4ბაზელი; ლუცერნი2:0; 0:2გრასჰოპერი **სერვეტი V თუნი** 1:0ციურიხი; ლუცერნი3:1; სენტ გალენი0:1 | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 | - | - | - | - |
| 10.08.02 | 20.30 | 176 | 1:3თუნი; ციურიხი1:3; 0:2სერვეტი **ლუცერნი V გრასჰოპერი** იანგ ბოისი4:0; 5:1ქსამაქსი; სერვეტი2:0 | 4,4 | 3,4 | 1,65 | 1,91 | 1,2 | 1,11 | - | 0:6 2:1 | 0:4 2:3 | 2:0 0:2 |
| 10.08.02 | 22.30 | 177 | 0:4გრასჰოპერი; აარაუ1:0; 2:3ვილი **იანგ ბოისი V ქსამაქსი** დელემონი0:1; გრასჰოპერი1:5; 0:2აარაუ | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 | - | 2:0 0:0 | - | - |
| 10.08.02 | 22.30 | 178 | თუნი0:1; 1:0ვილი; 3:1ლუცერნი **ციურიხი V ბაზელი** სერვეტი4:2; 1:1სენტ გალენი; დელემონი1:0 | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 | - | 2:0 1:2 | 1:1 2:0 | 0:0 0:1 |
| 11.08.02 | 19.15 | 179 | 1:0ქსამაქსი; ვილი1:2; 0:1ბაზელი **დელემონი V აარაუ** სენტგალენი1:1; 0:1იანგ ბოისი; ქსამაქსი2:0 | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 | - | - | - | 4:2 2:4 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გრასჰოპერი ციურიხი(3) | | 22.09 | 01.09 | 4:1 | 18.08 | 08.12 | 4:0 | 24.11 | 2:0 | 20.10 | 29.09 | 03.11 | 6 | 6 | 0 | 0 | 20:5 | 18 | 3 | 0 | 0 | 10:1 | 9 | 3 | 0 | 0 | 10:4 | 9 |
| 2 | ციურიხი(8) | 1:2 | | : | 27.10 | 0:1 | 14.09 | 01.12 | 11.09 | 3:1 | 24.08 | 17.11 | 05.10 | 6 | 4 | 0 | 2 | 11:5 | 12 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| 3 | ბაზელი(1) | 01.12 | 03.11 | | 11.09 | 24.11 | 19.10 | 28.09 | 1:0 | 4:2 | 1:1 | 14.09 | 17.08 | 6 | 3 | 3 | 0 | 9:5 | 12 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| 4 | ვილი(ღ) | 14.09 | 0:1 | 08.12 | | 01.09 | 03.11 | 3:2 | 20.10 | 18.08 | 29.09 | 4:0 | 24.11 | 6 | 3 | 1 | 2 | 11:9 | 10 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 | 1 | 1 | 1 | 4:6 | 4 |
| 5 | თუნი(ღ) | 17.11 | 20.10 | 25.08 | 01.12 | | 0:1 | 3:4 | 29.09 | 03.11 | 14.09 | 11.09 | 3:1 | 6 | 3 | 0 | 3 | 9:8 | 9 | 1 | 0 | 2 | 6:6 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| 6 | სანქტ გალენი(4) | 11.09 | 0:3 | 1:1 | : | 05.10 | | 24.08 | 01.12 | 22.09 | 17.11 | 27.10 | 5:0 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 8 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| 7 | იანგ ბოისი ბერნი(7) | 27.10 | 31.08 | 1:1 | 05.10 | 21.09 | 24.11 | | 17.08 | 08.12 | : | 1:0 | 2:2 | 6 | 2 | 2 | 2 | 10:13 | 8 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 | 1 | 0 | 2 | 6:10 | 3 |
| 8 | დელემონი(ღ) | 25.08 | 08.12 | 06.10 | 1:2 | 0:1 | 01.09 | 17.11 | | 2:0 | 27.10 | : | 22.09 | 6 | 2 | 0 | 4 | 4:7 | 6 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| 9 | სერვეტი ჟენევა(5) | 06.10 | 28.09 | 27.10 | 17.11 | : | 2:0 | 11.09 | 15.09 | | 01.12 | 24.08 | 2:0 | 6 | 2 | 0 | 4 | 7:11 | 6 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 | 0 | 0 | 4 | 3:11 | 0 |
| 10 | ქსამაქსი ნოიშატელი(10) | 1:5 | 24.11 | 21.09 | 1:1 | 2:1 | 17.08 | 03.11 | 0:1 | 01.09 | | 05.10 | 08.12 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:11 | 5 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| 11 | აარაუ(9) | 2:3 | 17.08 | 0:1 | 21.09 | 08.12 | 1:1 | 19.10 | 03.11 | 24.11 | 2:0 | | 31.08 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |
| 12 | ლუცერნი(12) | : | 1:3 | 17.11 | 24.08 | 27.10 | 28.09 | 14.09 | 3:0 | 19.10 | 11.09 | 01.12 | | 6 | 1 | 1 | 4 | 7:15 | 4 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 | 0 | 1 | 3 | 3:12 | 1 |

## შვეიცარია. B ჯგუფი. 2001-02. VI ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10.08.02 | 20.30 | 181 | 0:4კრიენსი; ლუგანო0:1; 1:1ვინტერთური **კონკორდია V სიონი** ბელინცონა2:1; 0:2ივერდონი; კრიენსი1:1 | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 | - | - | - | - |
| 10.08.02 | 20.30 | 182 | 3:1ვინტერთური; შაფჰაუზენი1:2; 1:1ბადენი **ვადუცი V ლოზანა** შაფჰაუზენი3:0; 2:1ვოლენი; ბელინცონა0:1 | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 | - | - | - | - |
| 10.08.02 | 20.30 | 183 | 0:3ლუგანო; ლოზანა1:2; 1:6შაფჰაუზენი **ვოლენი V ვინტერთური** ვადუცი1:3; 0:2ბელინცონა; კონკორდია1:1 | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 | - | - | - | - |
| 10.08.02 | 20.30 | 184 | 0:3ბადენი; სიონი2:0; 0:2ლუგანო **ივერდონი V კრიენსი** ლუგანო4:2; კონკორდია4:0; ბადენი5:1 | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 | - | 0:0 3:1 | - | - |
| 10.08.02 | 22.30 | 185 | 1:2სიონი; ვინტერთური2:0; 1:0ლოზანა **ბელინცონა V ლუგანო** 2:4კრიენსი; ვოლენი3:0; 1:0კონკორდია | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 | - | - | - | - |
| 10.08.02 | 22.30 | 186 | 0:3ლოზანა; 2:1ვადუცი; ვოლენი6:1 **შაფჰაუზენი V ბადენი** ივერდონი3:0; 1:5კრიენსი; ვადუცი1:1 | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 | - | - | - | 0:3 1:1 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლუგანო(ღ) | | | | | 1:0 | 2:0 | 31.08 | 17.08 | 3:0 | | | | 6 | 5 | 0 | 1 | 11:4 | 15 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| 2 | კრიენსი(7) | 4:2 | | | 17.08 | | | 4:1 | 31.08 | | 5:1 | 4:0 | | 6 | 4 | 2 | 0 | 20:7 | 14 | 4 | 0 | 0 | 17:4 | 12 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| 3 | შაფჰაუზენი(ღ) | 24.08 | 11.09 | | | | | | | 6:1 | : | 1:1 | | 6 | 4 | 1 | 1 | 13:8 | 13 | 1 | 1 | 0 | 7:2 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:6 | 9 |
| 4 | ბელინცონა(10) | : | | 1:2 | | | 24.08 | | 6:2 | 1:1 | 11.09 | | 2:0 | 6 | 3 | 1 | 2 | 12:7 | 10 | 2 | 1 | 1 | 10:5 | 7 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| 5 | სიონი(ღ) | | 1:1 | 31.08 | 2:1 | | | | | 17.08 | 3:0 | | 2:1 | 6 | 3 | 1 | 2 | 8:6 | 10 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 10 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| 6 | ივერდონ სპორტი ივერდონ ლებენი(5) | | : | 1:2 | | 2:0 | | | | 31.08 | | 17.08 | 3:0 | 6 | 3 | 0 | 3 | 8:7 | 9 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| 7 | ლოზანა სპორტი(ღ) | | | 3:0 | 0:1 | 11.09 | 0:2 | | | | | | 24.08 | 6 | 3 | 0 | 3 | 10:10 | 9 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:7 | 6 |
| 8 | ვადუცი(11) | | | 1:2 | | 24.08 | 11.09 | : | | | | | | 6 | 1 | 3 | 2 | 10:13 | 6 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 1 | 3 | 1 | 9:11 | 6 |
| 9 | ვოლენი(ღ) | | 24.08 | | | | | 1:2 | 0:0 | | 2:1 | 11.09 | : | 6 | 1 | 2 | 3 | 5:13 | 5 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 | 0 | 1 | 2 | 2:10 | 1 |
| 10 | ბადენი(8) | 0:2 | | | | | 3:0 | 17.08 | 1:1 | | | | 31.08 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:13 | 4 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |
| 11 | კონკორდია(12) | 0:1 | | | 31.08 | : | | 2:4 | 3:3 | | 24.08 | | | 6 | 0 | 3 | 3 | 7:14 | 3 | 0 | 1 | 2 | 5:8 | 1 | 0 | 2 | 1 | 2:6 | 2 |
| 12 | ვინტერთური(2) | 11.09 | 2:2 | 17.08 | | | | | 1:3 | | | 1:1 | | 6 | 0 | 2 | 4 | 5:13 | 2 | 0 | 2 | 1 | 4:6 | 2 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

## შოტლანდია. პრემიერლიგა. 2001-02. II ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10.08.02 | 19.00 | 137 | 2:1ჰიბერნიანი; **აბერდინი V სელტიკი** დანფერმლაინი2:1; | 5,3 | 3,5 | 1,55 | 2,1 | 1,19 | 1,07 | - | 0:2 2:0 0:1 0:1 | 1:1 0:6 0:1 | 0:5 0:7 0:6 1:5 |
| 10.08.02 | 19.00 | 138 | 2:0პარტიკ თისლი; **დანდი იუნაიტედი V კილმარნოკი** რეინჯერსი1:1; | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 | - | 0:2 0:2 2:2 0:2 | 0:1 0:1 0:0 | 0:0 1:1 2:2 0:1 |
| 10.08.02 | 19.00 | 139 | 1:2სელტიკი; **დანფერმლაინი V ლივინგსტონი** მაზერველი3:2; | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 | - | 1:2 0:0 1:0 1:4 | - | - |
| 10.08.02 | 19.00 | 140 | 1:1დანდი; **ჰარტსი V ჰიბერნიანი** აბერდინი1:2; | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 | - | 1:2 1:1 2:1 | 0:0 2:6 1:1 0:0 | 1:1 0:3 1:3 2:1 |
| 10.08.02 | 19.00 | 141 | 2:3ლივინგსტონი; **მაზერველი V პარტიკ თისლი** დანდი იუნაიტედი0:2; | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 | - | - | - | - |
| 10.08.02 | 19.00 | 142 | 1:1კილმარნოკი; **რეინჯერსი V დანდი** ჰარტსი1:1; | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 | - | 2:0 0:0 2:1 | 1:1 1:0 0:2 3:0 | 3:2 1:2 7:1 3:0 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დანდი იუნაიტედი(7) | | 19.10 | 09.11 | 30.11 | 31.08 | 21.12 | : | 28.09 | 25.08 | 07.12 | 14.09 | 26.10 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 2 | ლივინგსტონი(3) | 26.12 | | 23.11 | 21.09 | 30.11 | 05.10 | 24.08 | 14.09 | 3:2 | 14.12 | 02.11 | 09.11 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 3 | სელტიკი გლაზგო(1) | 17.08 | 01.09 | | 02.11 | 21.12 | 26.12 | 28.09 | 06.10 | 30.11 | 14.09 | 2:1 | 16.11 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 4 | აბერდინი(4) | 11.09 | 21.12 | : | | 19.10 | 18.08 | 04.12 | 16.11 | 07.12 | 26.10 | 28.09 | 01.09 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 5 | დანდი(9) | 23.11 | 11.09 | 21.09 | 26.12 | | 1:1 | 05.10 | 02.11 | 14.12 | 24.08 | 10.11 | 04.12 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 6 | ჰარტს ოფ მიდლოთიანი ედინბურგი(6) | 21.09 | 07.12 | 19.10 | 09.11 | 26.10 | | 31.08 | 30.11 | 14.09 | : | 24.08 | 14.12 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 7 | კილმარნოკი(5) | 02.11 | 16.11 | 14.12 | 14.09 | 07.12 | 23.11 | | 1:1 | 17.08 | 21.12 | 19.10 | 11.09 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 8 | გლაზგო რეინჯერსი გლაზგო(2) | 14.12 | 04.12 | 07.12 | 25.08 | : | 11.09 | 26.10 | | 19.10 | 09.11 | 23.11 | 22.09 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 9 | მაზერველი(11) | 16.11 | 26.10 | 11.09 | 05.10 | 28.09 | 04.12 | 09.11 | 26.12 | | 31.08 | 21.12 | : | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| 10 | ჰიბერნიანი ედინბურგი(10) | 05.10 | 28.09 | 04.12 | 1:2 | 16.11 | 02.11 | 21.09 | 17.08 | 23.11 | | 11.09 | 26.12 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 11 | დანფერმლაინ ატლეტიკი(8) | 04.12 | : | 26.10 | 14.12 | 17.08 | 16.11 | 26.12 | 31.08 | 21.09 | 30.11 | | 05.10 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 12 | პარტიკ თისლი გლაზგო(ღ) | 0:2 | 17.08 | 24.08 | 23.11 | 14.09 | 28.09 | 30.11 | 21.12 | 02.11 | 19.10 | 07.12 | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

## დანია. უმაღლესი დივიზიონი. 2001-02. III ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10.08.02 | 20.00 | 161 | 0:2მიდტიულანდი; 2:1ესბიერგი; **ოლბორგი V ბრონდბი** აკადემისკი1:3; 3:0სილკებორგი; | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 | - | 1:3 0:0 1:2 | 1:2 0:2 2:2 | 3:1 3:1 0:1 |
| 11.08.02 | 18.00 | 162 | 2:2ორჰუსი; ოლბორგი1:2; **ესბიერგი V კოგე** კოპენჰაგენი1:3; 2:2აკადემისკი; | 1,6 | 3,5 | 4,7 | 1,09 | 1,19 | 2 | - | - | - | - |
| 11.08.02 | 18.00 | 163 | 3:1ბრონდბი; კოგე2:2; **აკადემისკი V ოდენსე** სილკებორგი2:2; მიდტიულანდი2:0; | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 | - | 2:2 2:2 4:3 | 3:1 1:2 0:0 | 3:0 1:1 0:2 |
| 11.08.02 | 18.00 | 164 | 3:1 კოგე; ვიბორგი2:2; **კოპენჰაგენი V ფარუმი** ვიბორგი3:2; 0:2ორჰუსი; | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 | - | - | - | - |
| 11.08.02 | 18.00 | 166 | 2:3ფარუმი; 2:2კოპენჰაგენი; **ვიბორგი V მიდტიულანდი** ოლბორგი2:0; 0:2ოდენსე; | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 | - | 1:1 2:1 1:3 | 0:0 5:3 1:2 | - |
| 11.08.02 | 20.35 | 167 | 2:2ოდენსე; ბრონდბი0:3; **სილკებორგი V ორჰუსი** ესბიერგი2:2; ფარუმი2:0; | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 | - | 2:2 1:0 0:4 | 2:1 2:1 2:2 | 2:0 4:1 1:2 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კოპენჰაგენი(2) | | 15.09 | 22.09 | : | 25.08 | 20.10 | : | | 2:2 | | | 06.10 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 2 | აკადემისკი კოპენჰაგენი(5) | | | 25.08 | : | 20.10 | | 08.09 | | | 06.10 | 2:2 | 22.09 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 3 | ორჰუსი(10) | | | | 18.08 | 08.09 | | 2:0 | | 29.09 | 2:2 | 20.10 | | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 4 | ოდენსე(6) | 29.09 | | | | | 2:0 | | 08.09 | 06.10 | | 25.08 | 2:2 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 5 | ბრონდბი(1) | | 1:3 | | 15.09 | | 22.09 | | | 18.08 | 01.09 | 06.10 | | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| 6 | მიდტიულანდი(3) | 18.08 | 29.09 | 15.09 | | | | 06.10 | 2:0 | | | | 01.09 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 7 | ფარუმი(ღ) | | | | 01.09 | 29.09 | | | | 3:2 | 18.08 | 15.09 | | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 8 | ოლბორგი(4) | 01.09 | 18.08 | 06.10 | | : | | 22.09 | | | | | 15.09 20.10 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| 9 | ვიბორგი(8) | | 01.09 | | 20.10 | | : | | 25.08 | | 15.09 | 22.09 | | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 |
| 10 | ესბიერგი(7) | 08.09 | | | 22.09 | | 25.08 | 20.10 | 1:2 | | | : | | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 11 | კოგე(ღ) | 1:3 | | 01.09 | | | 08.09 | | 29.09 | | | | 18.08 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 12 | სილკებორგი სილკებორგი(9) | | | : | | 0:3 | | 25.08 | | 08.09 | 29.09 | | | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ანტიკური კომედია

## ბერძენმა შვილის დაბადების დღეზე იმდენ სტუმარს დაუძახა, სახლში ადგილი არ ეყო

ΑΘΗΝΑ 2004

*ბერძნები ითვლიან... სპორტული ოქრო-ვერცხლის და ოლიმპიადიდან ამოღებული მოგების დათვლა ჯერ ადრეა. ახლა ბერძნები იმ ოთახების რაოდენობას ითვლიან, რომლებმაც 2004 წელს ათასობით სტუმარი უნდა შეიფაროს. უნდა შეიფაროს, მაგრამ თვით ათენსაც კი, ტურისტულ გიგანტს, სტუმართა დაბინავების პრობლემა შეექმნა*

ელინთა დედაქალაქი ათენი გამალებით ემზადება 2004 წლის ოლიმპიადისთვის. ამ ქალაქს უამრავი მოზრდილი სპორტული შეჯიბრისთვის უმასპინძლია, სპორტის მრავალი სახეობის მსოფლიო თუ ევროპირველობა ჩაუტარებია. ასე რომ, ოლიმპიადის მასპინძლობისთვის საკმარისი გამოცდილება თითქოს უნდა ჰქონდეს. გამოცდილება გამოცდილებად, მაგრამ არსებობს ორგანიზაციული სირთულეებიც. მართალია, ათენს კარგად გამართული სპორტული ინფრასტრუქტურა აქვს, მაგრამ ოლიმპიადის ორგანიზატორებს ათასგვარმა საყოფაცხოვრებო და საკომუნიკაციო პრობლემამ თავგზა აუბნია. ჯერაც ამდენი რამეა გასაკეთებელი, ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე კი მხოლოდ ორი წელი რჩება.

ათენს და საბერძნეთს ტურისტთა მიღებას ვერავინ ასწავლის. ქვეყანა და მისი დედაქალაქი ფულიან ტურისტთა ხარჯზეც არსებობს, ყოველწლიურად მილიონობით უცხოელს იღებს, მაგრამ ოლიმპიადის დღეებში ათენი მაინც ვერ აიცილებს უბრალო საძინებელი ოთახების ნაკლებობას.

ბოლო წარმატებულმა ოლიმპიადებმა თამაშებმა იმდენად გაზარდა ოლიმპიური მოძრაობის მასშტაბები და გააფართოვა ოლიმპიური ოჯახი, რომ ოფიციალურ პირთა და ქვეყნების სპორტულ წარმომადგენლობათა მისაღებად ძველი სტანდარტებით მზადება თავის მოტყუებაა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ათენელებს ოლიმპიური ოჯახისთვის მინიმუმ 20 000 ოთახს სთხოვს, თან თითს უქნევს, თქვენი ზარმაცობისა და გულარხეინობის ამბავი მოგვეხსენება და საქმე დააჩქარეთ, თორემ დაისჯებითო.

ბერძნებიც მორჩილად უკრავენ თავს, მერე კი საგონებელში ვარდებიან, რადგან თითქმის ყველა რესურსი ამოწურეს და 18-19 ათას კეთილმოწყობილ ოთახზე მეტი არანაირად არ მოუგროვდათ. ოლიმპიადის დღეებში მობილიზებული იქნება სამმილიონიანი ათენის ყველა სასტუმრო, ცხადია, სპორტული სოფელიც და თვით ათენის ავანპორტ პირეოსის ნავსადგურში სპეციალურად დისლოცირებული საზღვაო-საკრუიზო ლაინერები, იგივე მცურავი სასტუმროები.

ლაინერების სასტუმროებად გამოყენების პრაქტიკა 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიადისას, ავსტრალიელებმა დანერგეს და ხეირიც ნახეს. ახლა ბერძნები მათ ბაძავენ და ამ გზით ზედმეტი სამი ათასი ოთახი იშოვეს, მაგრამ ეს ბოლომდე ვერ ჭრის პრობლემას.

საერთოდ გაურკვეველია, როგორ შეიფარებს ათენი უბრალო უცხოელებს, რომლებიც ოლიმპიადის დღეებში ათასობით მაწყდებიან საბერძნეთს და ქვეყანას რამდენიმე ასეული მილიონი ევროთი გაამდიდრებენ. ბოლო ოთხი ოლიმპიადიდან ევროპაში მხოლოდ ერთი, ისიც შორეულ 1992 წელს ბარსელონაში გამართულა, ასე რომ, ბებერი კონტინენტის მკვიდრნი შეეცდებიან, ეს „ახლომდებარე" ოლიმპიადა არ გამოტოვონ. ამ მხრივ თამაშების მასპინძლებს ჯერაც ჩამოუყალიბებელი და ბუნდოვანი გეგმები აქვთ. განვითარებადი ქვეყნების ტურისტულ რაიონებში დანერგილი პრაქტიკის დარად, ორგანიზატორები მოკრძალებულად სთხოვენ ათენის მოსახლეობას, საკუთარ ჭერქვეშ შეიფარონ უცხოელი სტუმრები, ცხადია, არა უფასოდ. ამ ხერხს იქნებ გაემართლებინა საქართველოში, სადაც სტუმარს უფულოდაც იღებენ ოჯახში, მაგრამ საბერძნეთში ყველაფერი სხვაგვარადაა. ოლიმპიადის ორგკომიტეტმა ათენელებში გამოკითხვაც მოაწყო და არცთუ სასიამოვნო პასუხი მიიღო. გამოკითხულთა 75 პროცენტი უარს აცხადებს, თუნდაც სოლიდური გადასახადის ფასად საცხოვრებელი, ვთქვათ, პაკისტანელს ან ნიკარაგუელს გაუყოს. სულ ახლახან ორგანიზატორებმა ქვეყნის მთავრობას სთხოვეს, გადასახადებისგან გაათავისუფლონ ოთახების გამქირავებელი კერძო პირები. რა გამოვა აქედან, არავინ იცის.

დროებითი საცხოვრებლები მხოლოდ ნაწილია იმ პრობლემათა ზღვის, რომელიც ორგანიზატორებს ლამის ყოველი მხრიდან უტევს. მათგან ყველაზე დიდი თავსატეხია ტრანსპორტისა და კომუნიკაციის მოუწესრიგებლობა.

ამასობაში კი, სანამ ათენი ოლიმპიადის მოსამზადებელი სამუშაოების დასკვნით ეტაპზე გასვლას ცდილობს, მომდევნო, 2008 წლის პეკინის ოლიმპიადის მასპინძელი ჩინელები სამზადისს იწყებენ. 2008 წლამდე დიდი დროა და მილიარდიანი ერის მთავარ ქალაქში ყურადღება არა საყოფაცხოვრებო, არამედ ზოგადპოლიტიკური მიმართულებითაა გამახვილებული. ჩინეთი ახლახან შემომტკიცებულ ტაივანთან ურთიერთობის დალაგებას ცდილობს, რათა ეს პრობლემა ოლიმპიადის მოახლოებისას დამატებით ხინჯად არ გამოეჩხიროს. „ტაივანი პრობლემა არ იქნება" — არწმუნებს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს და საზოგადოებას მავანი ჩინელი დიდმოხელე. შესაძლოა, ასეც იყოს.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ევროკალათი

**ვარსკვლავებით** სავსე იუგოსლავიის ნაკრები კიდევ უფრო დაიხუნძლა.

აქამდე იუგები საინდიანაპოლისოდ, სადაც 20 დღეში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრის, საკრამენტოელი ვლადე დივაცის გარეშე ემზადებოდნენ.

34 წლის დივაცი ნაკრებში თამაშს უარობდა, აქაოდა, ახალ თაობას ხელი არ შევუშალოო. გუშინ კი აზრი შეიცვალა და დღე-დღეზე შეუერთდება ჟელკო ობრადოვიჩის გუნდს.

დივაცს რომ ნაკრებში თამაში ეწადა, მისმა აგენტმა, ნიკა ცქიტიშვილისთვისაც კარგად ნაცნობმა მარკ ფლეიშერმა დაადასტურა: „ის სახლში ყოველდღე იმ აზრით მიდიოდა, რომ იუგოსლავიელებს მისი დახმარება სჭირდებოდათ. საბოლოოდ მან ეს გადაწყვიტა კიდეც".

ნაკრებში დივაცისთვის ყველაზე ნაცნობი სახე პრედრაგ სტოიაკოვიჩი იქნება. ამ ორს და მათ „საკრამენტოს" წლეულს მცირედი დააკლდათ „ლეიკერსის" „ამოსაყირავებლად". „ლეიკერსი" არც აზრშეცვლილ დივაცს დაავიწყდა: „ინდიანაპოლისში ჩვენ, ფაქტობრივად, მეორე გუნდი ვიქნებით ამერიკელების შემდეგ, მაგრამ ვერაფერს გაიგებ, ყველაფერია მოსალოდნელი. „ლეიკერსთან" ჩვენი თამაშისა არ იყოს, ძლიერი გუნდებიც მარცხდებიან".



ვლადე დივაცი

იუგოსლავიის ნაკრებში დივაცს სხვა ნბა-ელებიც ელოდებიან. სიეტლელები პრედრაგ დრობნიაკი და ვლადიმირ რადმანოვიჩი, ექსჩიკაგოელი დრაგან ტარლაჩი, კლიპერსელი მარკო იარიჩი და წლევანდელ დრაფტზე „ნიუ იორკის" მიერ 36-ე ნომრად აყვანილი მილოშ ვუიანიჩი.



არვიდას საბონისი

**ამ დღეებში** ქალგირისის გულშემატკივრებმა ორი სიახლე შეიტყვეს. ერთი მათი კლუბის ახალშენაძენს შეეხება, მეორე კი უფრო მნიშვნელოვანია და ამით დავიწყოთ: დიდი მითქმა-მოთქმისა და ათასი ჭორის შემდეგ არვიდას საბონისმა თავისი პოზიცია საბოლოოდ დააფიქსირა, არც ნბა და არც სხვა ევროპული კლუბებიო: „კიდევ ერთხელ გპირდებით, რომ ჩემი კარიერის ბოლო კლუბი „ჟალგირისი" იქნება. ეს წლეულს, ან გაისად მოხდება" — საბონისის ამ სიტყვებს 6 აგვისტოს თითქმის ყველა ლატვიურ გაზეთში ამოიკითხავდით.

ახალწვეული კი ევროლიგის ერთ-ერთი ყოჩაღი მეპასე, ოსტენდელი ედ კოტაა. შარშანდელ ევროლიგაში 24 წლის 186-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი მატჩში საშუალოდ 14,6 ქულას აგროვებდა და 5,1 პასს გასცემდა.

**„ულქერში"** საუკეთესომ, ევროლიგაში კი ერთ-ერთმა საუკეთესო მომხსნელმა, ამერიკელმა კვადრე ლოლისმა გუნდი გამოიცვალა. ზაზა ფაჩულიას 29 წლისა და 201-სანტიმეტრიანი თანაგუნდელი მომავალი სეზონიდან ბერლინის „ალბას" დაეხმარება. ლოლისის მატჩში საშუალოდ მოხსნილი 10,5 ბურთიდან უმრავლესობა მეტოქის ფარზე მოდიოდა. ამ ცალკეულ მაჩვენებელში, რომელიც 8,7 შეადგენდა, ამერიკელი ევროლიგის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ბერლინელებმა ლოლისის გადაყვანა მაშინ განიზრახეს, როცა მათმა ლიდერმა ვენდელ ალექსისმა „ალბა" დატოვა.

**ცნობილმა** იტალიელმა ფორვარდმა გრეგორ ფუჩკამ გუშინწინ, 31-ე დაბადების დღეზე „ბარსელონასგან" კონტრაქტი მიიღო და ამ „საჩუქარს" ხელიც მოაწერა.

ნბა-სთვის გამზადებული ფუჩკა, რომლის „ინდიანაში" გადასვლა ამას წინათ რეალურად მიიჩნეოდა, კატალონიურ გრანდში აღმოჩნდა და თუ „გრანდი" ახლა ცოტა ზედმეტია, მომავალი სეზონიდან ალბათ ასე იქნება. რატომ? სულ ცოტა ხნის წინ „ბარსელონამ" შარშანდელი ევროლიგის უძვირფასესი კალათბურთელი დეიან ბოდიროგა გადაიბირა ჩემპიონ „პანათინაიკოსიდან". ბოდიროგა კი ის კაცია, 1995 წელს „საკრამენტომ" დრაფტში რომ აირჩია და იქიდან მოყოლებული ნბა-ში თამაშს უარობს, აქაოდა, ევროპაში თამაში მეტ სიამოვნებას მანიჭებსო.

215-სანტიმეტრიანი ფუჩკას ტრანსფერი იმითაცაა ნიშანდობლივი, რომ მას კარიერა სრულად იტალიაში გაუტარებია და 12 წლის შემდეგ სერია A უიმისოდ პირველად ითამაშებს.

ფუჩკას ყველაზე მეტი „სკიპერში" უთამაშია. ამ კლუბთან ერთად, როცა „ფორტიტუდოდ" იწოდებოდა, იტალიის ჩემპიონობა მოუგია, ერთხელაც მილანის „ოლიმპიაში" უჩემპიონია. მისი საევროლიგო მწვერვალი ორი წლის წინ ამ ტურნირის უძვირფასესობა იყო. წლეულს ფუჩკა ევროლიგაში მესამე იყო საერთო მაჩვენებელთა მიხედვით.



გრეგორ ფუჩკა

# ეს კაცი ადრე ჯორდან-გრეცკი იყო

## პიტ სამპრასის ჰარდ როკი მორჩა. ახლა ფრენკ სინატრას უსმინოს


პიტ სამპრასი: უკვე მერამდენე ხელის დაჭნევა, უკვე მერამდენე ხელის ჩაჭნევა

**WESTERN & SOUTHERN**
ცინცინატი. ჰარდი
საპრიზო 2,95 მილიონი $

**მეორე წრე**

**უეინ არტურსი** (ავსტრალია) — პიტ სამპრასი (15, აშშ) 4:6, 6:3, 7:6 (7:4); **ანდრე აგასი** (6, აშშ) — გილერმო კორია (არგენტინა) 6:0, 6:2; **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 5:7, 7:6 (7:4), 6:0; **ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 5:0 (სანგვინეტიმ შეწყვიტა); **უეინ ფერეირა** (სამხრეთ აფრიკა) — ალბერტ კოსტა (7, ესპანეთი) 7:6 (8:6), 6:2; **ხუან კარლოს ფერერო** (8, ესპანეთი) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:4, 4:6, 6:4; **ტეილორ დენტი** (აშშ) — მარსელო რიოსი (ჩილე) 6:3, 6:2; **ფერნანდო გონსალესი** (ჩილე) — ტიმ ჰენმანი (4, ბრიტანეთი) 7:6 (7:3), 6:2; **რიჩარდ კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 7:6 (7:2), 6:2; **ენდი როდიკი** (12, აშშ) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4, 6:3; **კარლოს მოია** (16, ესპანეთი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:2, 6:4; **ტომას ენკვისტი** (შვედეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:3, 6:2; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) 6:7 (2:7), 7:5, 6:3; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — გრეგ რუზედსკი (ბრიტანეთი) 6:2, 3:6, 6:3; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:2, 3:6, 7:5; **ქსავიე მალისი** (ბელგია) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 4:6, 7:6 (9:7), 7:6 (9:7)

ვერაფერს იტყვი, საუცხოო საზოგადოებაა. მარტო ამ პირველი ოთხი წყვილის ჩაკითხვა რად ღირს! ჩემპიონები, დიადები, 50-ტიტულიანები და მრავალასმატჩმომგებები! მოკლედ — ერთ რამედ სალირებელი ამბავია.

და, იცით, მთელი ამ პათოსურ-საზეიმო პირველაბზაცის შემდეგ გულდასაწყვეტი რა არის?

ალბათ, თავადაც მიხვდებოდით.

ყველა დროის უდიადესმა, ჩოგბურთის ჯორდან-გრეცკიმ ზედიზედ 31-ე ტურნირი დატოვა. ძლეულმა და უტიტულოდ, ცხადია.

13-გზის მესლემტიტულე და კარიერის განმავლობაში 42 მილიონ დოლარზე მეტის მომხვეჭელი პისტოლ პიტი შინ ამჯერად ავსტრალიელმა უეინ არტურსმა გაუშვა.

საჩოგნეთის „დიადვინმის" ტიტულყაბზობა 2000 წლის უიმბლდონიდან გრძელდება...

სხვაფრივ — ცინცინატური ჰარდსაფარი გლიჯინ-გლიჯინით ჩააპანგეს დანარჩენმა ამერიკელებმა.

ხნოვანმა და ბრძენმა ანდრე აგასიმ არგენტინელ კორიას გადაუარა. წლეულს პირველად ზედიზედ მეორე გამარჯვება მიითვალა 1989 წლის მეროლანგაროსე ჩია ჩანგმა. ამ ბოლო დროს მოყოჩებული ნიკოლას კიფერი ტრიბუნებზე კადნიერმა როდიკმა აანაცვლა. შემაჩილებელი მარსელო რიოსის ჩოგნაობით ტკბობის შანსი ცინცინატელებს დროზე ადრე როდიკის კბილა ტეილორ დენტმა წაჰგვარა.

ერთი სიტყვით — ამერიკელებმა მათ სათულფე კორტზე გაილაღეს და მერვედფინალში ბითუმად განლაგდნენ.

პიტსა და მის შავტუხა თვისტომ ჯეიმს ბლეიკს თუ არ ჩავთვლით. ამას წინათ კაც ჩოგბურთელებში „კურნიკოვად მიჩნეული" შავჯეიმსი ხუან კარლოს კოლო-ფერერომ აოტა.

ჰო, მართლა — ენდი როდიკი ამ კვირაში პირველად გაზეათეულდა. არც გაგვიკვირდეს — იგი ხომ სამპრასაგას-კურიე-ჩანგის ამერიკული ხომლის უმთავრეს მემკვიდრედ ითვლება.

ბრიტანელი მწერლები კი გუშინ ძირითადად ტიმ ჰენმანის გავარდნას მისტიროდნენ. მისი მძლეველი ფერნანდო გონსალესი მსოფლიოში 39-ე ჩოგანს აჭნევს.

და კიდევ — ლეიტონ ჰიუიტი, ვინაც მომდევნო წრეში უპრობლემოდ გავიდა (რაკიღა დავიდე სანგვინეტის ტრავმა მიეძალა), სასამართლოში ჩივილს აპირებს — აქაოდა, წინასამატჩო ინტერვიუს მიუცემლობის გამო 20 ათას დოლარს როგორ მართმევთო.

არადა, ართმევენ და ამას ალბათ ალარაფერი ეშველება.

**ლოს ანჯელესის ლია პირველობა**
მანჰეტენ ბიჩი. ჰარდი
საპრიზო 585 ათასი $

**მეორე წრე**

**სირენა უილიამსი** (1, აშშ) — ლინა კრასნორუცკაია (რუსეთი) 6:4, 6:2; **ელენა დოკიჩი** (4, იუგოსლავია) — ტინი პიშნიკი (სლოვენია) 6:3, 6:2; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (6, სლოვაკეთი) 6:4, 6:2; **აი სუგიამა** (იაპონია) — ელენა დემენტიევა (7, რუსეთი) 6:2, 6:7 (5:7), 7:5; **დაია ბედანოვა** (8, ჩეხეთი) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:3, 6:2; **ანკე ჰუბერი** (10, ლუქსემბურგი) — მართოგაიანე მიქაელიანი (შვეიცარია) 6:2, 6:2; **ამანდა კუტცერი** (სამხრეთ აფრიკა) — ანა სმაშნოვა (11, ისრაელი) 6:0, 6:2; **ჟანეტ ჰუსაროვა** (სლოვაკეთი) — მეგენ შონესი (14, აშშ) 6:4, 6:4; **ნატალი დეში** (15, საფრანგეთი) — იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) 6:4, 6:2

თითქოს საუბარი იმით უნდა დაწყებულიყო — და აკი იწყება კიდეც — რომ უმცროსმა შავდა სერენამ ქალთა შორის პირველმეჩოგნის რანგში პირველი გამარჯვება მიითვალა, მაგრამ ჩვენც და ჩვენი მეპასე უცხოელი კოლეგებიც საამდღევანდლო მიმოხილვების დაწყებას სხვა ამბით არჩევენ.

სახელდობრ, შემდეგით:

უკვე მეორე ტურნირია, ქალთა საჩოგნეთის ერთ-ერთი უნიჭიერესი და სექსუალურობის თვალსაზრისით ანა კურნიკოვას მემკვიდრედ მიჩნეული დანიელა ჰანტუხოვა მეორე წრიდანვე ვარდება.

თუკი სანდიეგოში გრძელფეხება სლოვაკი იაპონელმა აი სუგიამამ დაჩოგნა — გეხსომებათ, იქ დანიელა მეტოქის მატჩპოინტზე ჩაწოდებისას დროის გაჯანჯლების გამო საჯარიმო ქულით დაისაჯა — ლოს ანჯელესის ლია პირველობიდან იგი ბერძენმა ელენი დანილიდუმ დაითხოვა.

დანილიდუ 21 წლის მოუმხიბლავი შავტუხაა, მაგრამ მილეთის პატივისცემას იმით იმსახურებს, რომ ორი წლის წინ მარცხენა მუხლის ვაგლახად დაშავების მიუხედავად კვლავ საშურ ფორმაშია და ეს სეზონი მსოფლიოში 83-ე ჩოგნად რომ დაიწყო, ახლა 31-ეს აჭნევს.

სხვაფრივ — ჰანტუხოვას კიდევ სამი განთესილი მიჰყვა — რუსი ელენა დემენტიევა (7), ებრაელი ანა სმაშნოვა (11) და ამერიკელი მეგენ შონესი (14).

და კიდევ: ელენა დოკიჩის გახსენებაზე კაცს მაინცდამაინც ფალარათის ასოციაცია არ გიჩნდება — პირუკუ, უმალ კორტზე გსურს გაიჭრა — მაგრამ წინა კვირას ვინუს უილიამსთან წასაგები ფინალის წინ ამ მკერდსავსე სერბგოგოს თურმე ჩვეულებრივზე ხშირად მოუხდა მისი უზადო სხეულის ფეხსალაგში გარონიება. ხოლო ეს ხამუშა ინფორმაცია იმის გამო გაუწყეთ, რომ — დახეთ! — ელენას ახლა მორიგი, ოლონდ სასულე ვირუსი მისძალებია და უსახელო ტინა პიშნიკთან საბულრაოდ ჩვეულზე მეტი ხანი დადგა.

და სერენა?

ჰოო — ყმაწვილმა რუსმა ლინა კრასნორუცკაიამ მას სანაქებო ცეცხლი შეუნთო და ისე გასარჯა, კორტის ერთი კუთხიდან მეორეში მორბენალ სერენას ბარე ერთზე მეტი ოფლიანი მაისურის გამოცვლა მოუხდა.

ტონობით შეცდომა დავუშვით, ზუსტად ასე იძახდა მსოფლიოს მეპირველე ჯანიანქალი ნამატჩევს.

ეგებ აღარ გახსოვთ, უიმბლდონის მოგების შემდეგ მას ჩოგანი მხოლოდ სახლში გაექნია.

ესე იგი — არც ერთ ტურნირზე აღარ უთამაშია.

ეგ არის და ეგ!

**ლევან ძილაურაძე**


ელენა დოკიჩი ამ ბოლო ხანს უხერხულად შეწუხდა

**NORDEA NORDIC LIGHT OPEN**
ჰელსინკი. ჰარდი
საპრიზო 140 ათასი $

**პირველი წრე**

**აზა სვინსონი** (6, შვედეთი) — სოფია გუბაში (უნგრეთი) 7:5, 7:5

**მეორე წრე**

**პატი შნიდერი** (3, შვეიცარია) — ტატიანა პერებინისი (უკრაინა) 3:6, 6:2, 6:2; **მარტინა სუხა** (5, სლოვაკეთი) — ანკა ბარნა (გერმანია) 6:4, 6:4



# ანტირუსული შტაბი ფრანგულ მუხნარში

## ბიჭებმა სორელი და ცაბაძე შეარიგეს


ნუკრი ვარდოსანიძის ფოტო
გია ლაბაძე

*საქართველოს ნაკრები რუსეთთან მატჩისთვის ფრანგულ ლა როშელში ემზადება. მწვრთნელმა კლოდ სორელმა გაფართოებული, 35-კაციანი შემადგენლობა შეკრიბა. იმის გასარკვევად, როგორ და რა პირობებში ემზადება ნაკრები, ბორჯღალოსანთა მორკინალ გია ლაბაძეს დავუკავშირდით*

— შშვენიერი პირობები გვაქვს. „ლა როშელის" ბაზაზე ვვარჯიშობთ, რამდენიმე კარგი მოედანია. საუნა, ტრენაჟორები და სამასაჟო კაბინეტებიცაა. სასტუმრო ქალაქიდან ნახევარი საათის სავალზეა, მუხნარით გარშემორტყმული. სუფთა ჰაერზე მყუდროდ ვცხოვრობთ. არავინ და არაფერი გვაწუხებს. მარტო ვარჯიშზე ვფიქრობთ. კვებაც ნორმალურია, ვიტამინებს გვასმევენ და კალორიულ საჭმელებს გვიკეთებენ.

**— დღეში რამდენჯერ ვარჯიშობთ?**

— თავიდან ორჯერ ვაპირებდით, მაგრამ მერე ბიჭებმა მოვილაპარაკეთ და დილის კროსების შემდეგ შვიდკაცას ვთამაშობთ. ასე რომ, სამჯერადი ვარჯიში გამოგვდის — დილით შვიდკაცა, შუადღეს და საღამოს ვარჯიში. შვიდკაცას განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ, რადგან ხელით თამაშში ბევრი ნაკლი გვაქვს გამოსასწორებელი.

**— კერძოდ?**

— უბრალო სიტუაციაში ბურთი გვივარდება, პასი არ გამოგვდის, არის კიდევ რამდენიმე დეტალი.

**— სწორედ მაგისთვის სორელმა პატრიკ ფორი დაიხმარა. როგორი მწვრთნელია იგი?**

— კარგი მწვრთნელი ჩანს. ისეთი ხარვეზები გვიპოვა, ჩვენ კარგა ხანს ვერ მივხვდებოდით. ახლა თანდათან გვასწავლის.

**— სპარინგ-მატჩები არ გითამაშიათ?**

— ჯერ არა, შაბათს აქვე „ლა როშელს" ვეთამაშებით. ძალიან კარგი გუნდია. გასული სეზონი ელიტ-I-ში გაატარა, თუმც ჩამოქვეითდა, მაგრამ სოლიდური შემადგენლობა ჰყავს. სხვათა შორის, „ლა როშელში" ჩვენი მორკინალი გიორგი ჩხაიძე თამაშობს. მეორე შეკრებაზე ორ სპარინგს გავმართავთ, ერთს „ლიონთან", მეორეს ალბათ „ალბისთან".

**— ვარჯიშებში რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

— არა, ძველი მეთოდებით ვემზადებით. მხოლოდ პატრიკ ფორიმ შეიტანა უკანახაზელების წვრთნაში სიახლეები და უწინდელთან შედარებით ოდნავ განსხვავებული მეთოდებით ავარჯიშებს. რაც შეეხება ტაქტიკას ან რომელიმეს ამპლუის შეცვლას, ეს ალბათ ამხანაგურ მატჩებში მოხდება. ახლა შეკრებაზე 35 კაცი ვართ, შაბათს ილო ზედგინიძე, პალიკო ჯიმშელაძე და მამუკა მაგრაქველიძე შემოგვიერთდებიან. ზედგინიძე იტალიაშია, ახალ კლუბ „როვიგოსთან" აგვარებს ფორმალობებს. ჯიმშელაძე და მაგრაქველიძე ტრავმირებულები იყვნენ, ახლა მომჯობინდნენ.

**— ლევან ცაბაძეზე მინდა გკითხო...**

— ვიცი, რაც გაინტერესებს. სორელს ველაპარაკეთ ბიჭები და ვუთხარით, რომ „ლეონსიო" ის კაცი არაა, შეკრებას ან ვარჯიშს თავი აარიდოს. ეტყობა, მართლა გაუგებრობა მოხდა და მეტი არაფერი. სორელიც დაგვეთანხმა, გვიპასუხა, ვიცი, რომ ლევანი ნაკრებისთვის თავს არ ზოგავს, უბრალოდ, ფიცხი კაცი ვარ და უთანხმოებაც ამიტომ მოგვივიდაო. სორელმა და ცაბაძემ უკვე ილაპარაკეს, მორიგდნენ და „ლეონსიოც" შაბათს ჩამოვა...

საფრანგეთში ლევან ცაბაძესაც დავუკავშირდით. მან დაგვიდასტურა, რომ სორელს ელაპარაკა და გაუგებრობა წარსულს ჩაბარდა. ასე რომ, ბორჯღალოსანთა კაპიტანი შაბათს ნაკრებს შეუერთდება და სარუსეთოდ თანაგუნდელებთან ერთად მოემზადება.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ევროპის ჩემპიონატი. მიუნხენი 6 - 11 აგვისტო

# ორი ოქროს მადევარმა ერთი ბრინჯაოც ვერ დაიჭირა




REUTERS მოუწოდებიან

მეჰდი ბაალამ (მარცხნივ) და რეიეს ესტევესმა 1500-მეტრიანი დისტანციის ფინიშზე ერთდროულად მიირბინეს. ფოტოფინიშმა პირველს მოაგებინა

ევროპის ჩემპიონატის ორგანიზატორებსა და სენსაციებზე ჩასაფრებულ ჟურნალისტებს მალე აუხდათ საწადელი. ევროპირველობის მესამე დღის დილას მსოფლიოს რეკორდი დამყარდა და არა აქვს მნიშვნელობა, რომ დამყარდა ერთობ არაპოპულარულ სახეობაში, 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში. პოლონელმა რობერტ კორჟენიოვსკიმ, მსოფლიოს, ოლიმპიურმა და ევროპის ჩემპიონმა, ერთი სიტყვით, ამ დისციპლინაში სადღეისოდ სწორუპოვარმა კაცმა ნახევარი ასეული კილომეტრი სამ საათში, 96 წუთსა და 39 წამში გაიარა და 47 წამი ჩამოაჭრა მსოფლიოს მანამდელ რეკორდს, რომელიც რუს ვალერი სპიცინს ორი წლის წინ მოსკოვში დაუმყარებია. ძველი რეკორდსმენი ახალს მიუნხენში სამნახევარი წუთით ჩამორჩა და ვერცხლი ერგო.

ტურნირის მესამე დღის ყველაზე საინტერესო ამბავი, მაინც ქალთა შორის 100-მეტრიანი გარბენი იყო. ყველამ იცოდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე არ ირბენდა ყოჩაღი უკრაინელი მანდილოსანი ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკი, რომელსაც შარშან თვით მსოფლიოში ყველაზე ჩქარი ლამაზმანი მარიონ ჯონსი შემოემარცხა. ამდენად საინტერესო, იყო ვინ დაიკავებდა მის ადგილს.

ამ ადგილს დაეპატრონა ბერძენი მალემსბროლი ქალი ეკატერინი ტანოუ, ვინაც ასმეტრა მანძილი 11,1 წამში გაირბინა და როგორც იქნა, რაღაც სერიოზული მოიგო.

ჯერაც არ ცხრება კაცთა მიერ წინა დღეს გარბენილი 100 მეტრის ფინალის გარშემო ატეხილი საუბრები. შეგახსენებთ, ევროპის ჩემპიონატის ყველაზე სწრაფი კაცი გახდა ბრიტანელი დუეინ ჩამბერსი, რიგიანი — 9,96 წამიანი შედეგით. მხოლოდ მესამე ადგილი ერგო ევროპის მანამდელ ჩემპიონს, ასევე ბრიტანელ დარენ კემპბელს, რომელიც მუდმივად ექიშპებოდა თანამემამულეს.

გუშინ კემპბელმა თავისი წილი ბრინჯაო გერმანიის ერთ-ერთ კლინიკას გადასცა, რომელსაც თურმე ხშირად სტუმრობს და სადაც ტრავმებს წამლობს. ამ კლინიკაში მუშაობს გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრების და მიუნხენის „ბაიერნის" ექიმი და კემპბელი მხოლოდ მას ანდობს თავის დამაშვრალ სხეულს. „ზურგის ტრავმით ჩამოვედი და მან მიწამლა. საკვალიფიკაციო გარბენის შემდეგაც ზურგში სპაზმები მაწუხებდა. მისი წყალობით მოვიგე ბრინჯაო და ეს მედალი მას ეკუთვნის" — თქვა კემპბელმა. ძნელი სათქმელია, მართლა წრფელი გულით გადასცა მედალი ექიმს კემპბელმა, თუ უბრალოდ არ იკადრა მისთვის ესოდენ შეუფერებელი სინჯის ჯილდო და ვიღაცას მიაჩეჩა, იქნებ გულისხმიერებაში მაინც ჩამეთვალოსო.

ასეა, ვისთვის ბრინჯაო მოყვითალო ლითონზე მეტად არ ფასობს, სხვისთვის კი ევროვერცხლი ოლიმპიუროქროს აღემატება. მაგალითად, გუშინწინ გერმანელი სტაიერი დიტერ ბაუმანი 10 კილომეტრიან გარბენში მხოლოდ 0,21 წამით ჩამორჩა ესპანელ ხოსე მიგელ მარტინესს და ვერცხლილა შერჩა. ადამიანის, მით უმეტეს, სპორტსმენის ბუნებრივი დაუკმაყოფილებლობის გამო ბაუმანი თითქოს უკმაყოფილო უნდა დარჩენილიყო, თან ოქროს გეგმავდა კიდეც, მაგრამ თუ ვერწმუნებით, 37 წლის გერმანელი უზომოდ გაახარა მეორეობამ. უთქვამს, ათი წლის წინ ბარსელონის ოლიმპიადის 5000 მეტრზე მოგებულ ოქროზე მეტ მიღწევად ვთვლი ევროპირველობის 10 000 მეტრის ვერცხლსო. შესაძლოა, ასე იმის გამო თვლის, რომ კარიერის დაისზეა, 37 წლისაა. თან ბოლო ორი წელი დოპინგის გადამკიდე დისკვალიფიკაციის გამო იძულებით უქმობდა და უვარჯიშებელი არც ელოდა ასეთ შედეგს.

8 აგვისტოს მედლების კიდევ რამდენიმე კომპლექტი გათამაშდა, შედეგად ბერძნებს კიდევ ერთი ოქრო შეემატათ. ელინმა ქალმა ეკატერინა ვოგოლიმ 69,31 მეტრზე გასტყორცნა ბადრო და ამ საქმეში ყველა სხვას აჯობა. უნგრელმა კაცმა ადრიან ანუსმა კი საჩემპიონო მედალი უროს 81,17 მეტრზე გადასროლაში აიღო.

გერმანელმა ინგო შულცმა 400 მეტრი 45,14 წამში გაირბინა და გერმანელებს პირველი ოქრო მოუტანა. ქალებში ანალოგიურ დისტანციაზე 50,45 წამით იმარჯვა რუსმა ოლესია ზუკინამ. ქალთა 400-მეტრიან თარჯრბენში 54,95 წამით გაიმარჯვა რუმინელმა იონელა ტირლეამ. ქალებში 800-მეტრიანი დისტანცია სხვებზე სწრაფად, ზუსტად კი წუთსა და 57,65 წამში დაფარა სლოვენიელმა იოლანდა კეპლაკმა.

კაცთა შორის 1500-მეტრიან გარბენში ფრანგმა მეჰდი ბაალამ და ესპანელმა რეიეს ესტევესმა იდენტური დრო — 3 წუთი და 45,25 წამი აჩვენეს. ფოტოფინიშმა გამარჯვება ფრანგს არგუნა.

მამაკაც მაღლამხტომელებში 2,31 მეტრზე ახტა და ჩემპიონი გახდა რუსი იაროსლავ რიბაკოვი.

მამაკაც სამმხტომელებში იჩემპიონა 17,53 მეტრზე გადამხტარმა შვედმა კრისტიან ოლსონმა. ხოლო მესამე ადგილს დასჯერდა ამ საქმის დიდოსტატი ჯონათან ედვარდსი.

და სულ ბოლო ინფორმაცია: 100 მეტრში ბრინჯაოს დამწუნებელ დარენ კემპბელს აღარც 200 მეტრში ერგება რაიმე. გუშინ მოსალამოებულს საკვალიფიკაციო გარბენიდან მოხსნეს შიდა ხაზის გადაკვეთის გამო.

**ირაკლი ფირუზაშვილი**




REUTERS მოუწოდებიან

რობერტ კორჟენიოვსკიმ ევროპის ჩემპიონატზე მსოფლიოს რეკორდი დაამყარა

კრივი

# მე ვარ პედერასტი?! ლუისმა ტაისონს მამათმავლობა იქით დააბრალა

ხომ ცნობილი ამბავია, რომ მაიკ ტაისონმა ლენოქს ლუისი მამათმავლად გამოაცხადა, ერთი მაგის ლაპარაკის მანერას უსმინეთ და მიხრა-მოხრასაც ჩაუკვირდით, ნამდვილი პიდარიაო.

ამგვარი ჭორი ახალი არ არის, ლუისი წლების მანძილზე უარყოფდა მას, ახლა კი საქმითაც დაადასტურა. მძიმე წონის კრივის მეუფე მავან ლამაზმანთან ერთად დაუნახავთ და ქალიც, როგორც იქნა, ამოუცვნიათ. ეს ლამაზმანი ამერიკელი მოდელი ვაიოლეტ ჩანგი გახლავთ.

ეს ამბავი ინგლისურმა ტაბლოიდმა „მირორმა" მოსდო ქვეყნიერებას და იქვე მოაყოლა ლუისის სიტყვები: „იმის თქმა, რომ მე ჰომოსექსუალისტი ვარ, ულირსი საქციელია, მე არა ვარ ჰომოსექსუალისტი. ლაპარაკის მანერით ტაისონი უფრო ჰგავს ჰომოსექსუალისტს. არც კი მჯერა, რომ ხალხი ჰომოსექსუალისტად მთვლის".

ლუისის აზრით, ამგვარი ჭორების დაყრა მას შემდეგ დაიწყეს, რაც მან სახელი გაითქვა. არადა, მოკრივე გვარიანი მექალთანეც გახლავთ, ოღონდ კი თავისი ურთიერთობების სახალხოდ გამოჭენება არ სჩვევია. ვიოლეტ ჩანგამდე ის კარგა ხანს ხვდებოდა მომღერალ აიშა მაიკს, ისე, რომ ერთხელ ვაიოლეტი აიშადაც კი მიიჩნიეს ყვითელი პრესის მონადირეებმა.

ბარე სამ წელიწადს ლენოქსსა და აიშას ფრენდობა ჰქონიათ, მაგრამ წლეულს წაჩხუბებულან. ვაიოლეტი კი ლუისს „მის იამაიკას" კონკურსისას ჩავარდნია გულში. იმ კონკურსზე ვაიოლეტს 40 ათასი დოლარი, კარგი სამოდელო კონტრაქტი და მეორე ადგილი მოუგია.

ქალთა ეს გამოფენა იამაიკის ქალაქ კინგსტონში გამართულა, სადაც ლუისი თავისი დროის უმეტეს ნაწილს ატარებს. ტაისონთან ბრძოლის წინ ლუისი სწორედ ვაიოლეტთან ერთად უნახავთ მემფისის მოტელ „ლორეინის" ალაყაფთან. ეს ადგილი შავკანიანთათვის დიდად ისტორიული ალაგია, რახან 1968 წელს აქ მოკლეს შავთა უფლებებისთვის მებრძოლი მარტინ ლუთერ კინგი.

ლუისმა კი ისიც შემოთვალა, რომ ვაიოლეტი კარგი გოგოა და მის ცოლად შერთვას აპირებს.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



ქალებში ტრიალი ლენოქს ლუისისთვის უცხო არ არის

წყალბურთი

# სლოვენიასთანაც დამარცხდნენ

**საქართველოს** წყალბურთელებმა იტალიურ ბარიში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე მეოთხე მატჩიც წააგეს. სლოვენიელებთან შეხვედრაც, ისე როგორც წინა დღეს ბელგიელებთან, კვლავ მინიმალური სხვაობით დათმეს — 4:5.

ანგარიშის მიხედვით ისე ჩანს, რომ დაძაბული ბრძოლა იყო, მაგრამ სამი პერიოდის თითქმის 17 წუთი ისე მიილია, რომ ჩვენებმა მეტოქეთა მიერ გატანილ 4 ბურთს ერთითაც ვერ უპასუხეს. ვერ გეტყვით, ამის მერე სლოვენიელებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს თუ რა იყო, მაგრამ ვითარება რადიკალურად შეიცვალა: ქართველებმა ათ წუთში ოთხი ბურთის გატანა შეძლეს, მაგრამ დროის ამ მონაკვეთში სლოვენიელთა ერთადერთი წარმატება გადამწყვეტი აღმოჩნდა, რათა საბოლოოდ გამარჯვება მათ დარჩენოდათ.

ახლა, მეხუთე შეხვედრაში ჩვენების მეტოქეები ფრანგები იქნებიან და მათი ძლევის შემთხვევაში საქართველოს გუნდი მე-13 ადგილს დაიკავებს.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა






# დიდი ლეიკერსელის ხსოვნა

უბედური შემთხვევის მსხვერპლი შექნილა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" გულშემატკივართათვის სრულიად ლეგენდარული კაცი ჩიკ ჰერნი. ჰერნი გამომცხადებლად იყო „ლეიკერსის" თამაშებზე 1960 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც გუნდი მინეაპოლისიდან ლოს ანჯელესში გადმობარგდა და გუნდის სიმბოლოდ ითვლებოდა. ათასობით ლოსანჯელესელი სანთლებითა და ყვავილებით მისულა ჰოლივუდის დიდების ხეივნის იმ ადგილას, სადაც დალუპულის ვარსკვლავია ჩაბეჭდილი. ჰერნი საკუთარ სახლში წაქცეულა და თავის მძიმე ტრავმა მიუღია, რის შემდეგაც სამ დღესღა უცოცხლია.



REUTERS

# იარონ, იარონ, იარონ




REUTERS

აბა, სირბილში თუ შეუმლის ხელს ამგვარი სექსუალური მორთულობა ბრიტ ნატაშა დანკერსს? ალბათ არა. 400 მეტრზე რბენის წინ მავანმა ფოტოგრაფმა სწორედ ჭიპთან გაუჩხაკუნა აპარატი შავტუხა მორბენალს. აქ კი ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოფლს არა მარტო მორბენლები, არამედ მოსიარულეებიც ღვრიან. ჯერ რა გაძლება გინდა, რომ ოცი კილომეტრი იარო ამგვარად ჩაფიქრებულმა ამდენი ქალი ერთად მიდი-მოდიოდეს, მართლაც იშვიათი სანახავია. ამბები კი მიუნხენში ხდება, სადაც ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატი გახურებულა.



REUTERS

# ძალიან ისლამურიც

აი, რა ხდება: კარატისტი გოგონები ისლამური ქვეყნებიდან აზიურ შეჯიბრებებზე გამოჩნდნენ. დუბაიში ძალიან ისლამურ ქვეყნებსაც ჩამოუყვანიათ გუნდები და თავადაც ხედავთ, როგორ სჯაბნის მავანი სპარსელი გოგონა, სახელად მჰებოა თავის იორდანიელ მოწინააღმდეგეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge